

"24 საათის" ფიქციანი ნომერი

*2424

იხილეთ ჩანართი



იაკონია სახელისუფლო ცვლილებებისთვის ემზადება

A4



საქართველო ოკეანის მიღმა

A5



24 საათი

"24 საათის"

ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:



ჭონ ტეფტი:

"საქართველოდან უამრავი კარგი მოგონება მიმყვება"

სალომე ძაძაძია

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩ ჯონ ტეფტის ოთხწლიანი საქმიანობა სექტემბერში სრულდება. ტეფტი შეერთებული შტატების რიგით მეოთხე ელჩია. მას ჯონ ბასი შეცვლის, რომელიც საქართველოში ოქტომბერში ჩამოვა და მუშაობას შეუდგება. ჯონ ტეფტი "24 საათს" საქართველოში მუშაობის დროს მიღებული შთაბეჭდილებებისა და ამერიკა-საქართველოს ურთიერთობის პერსპექტივების შესახებ ესაუბრა.

- საქართველოში თქვენი მუშაობის დრო უკვე იწურება. ოთხი წლის მანძილზე საკმაოდ ბევრი მოვლენის მომსწრე და მონაწილე გახდით. და მაინც, რა იყო თქვენთვის ყველაზე საინტერესო საქართველოში მოღვაწეობის პერიოდში?

ბაზრძალაბა A3 გვირგვინი



ჭონ ტეფტი

ევროპასთან ყველაზე ახლოს მდებარე აეროპორტი

ფოთში მასშტაბური მშენებლობები იგეგმება

ზაფხულის ბოლო დღეს პრეზიდენტი სააკაშვილი საქართველოს ზღვისპირეთში იმყოფებოდა. გუშინ ის ფოთში ბეტონის ქარხნის გახსნას დაესწრო და თავისუფალი ინდუსტრიული ზონის პერსპექტივებზე ისაუბრა. გარდა ამისა, მიხეილ სააკაშვილის თქმით, საპორტო ქალაქში იწყება მასშტაბური აეროპორტის მშენებლობა. ფოთში ჩასვლამდე, გუშინ ღამით, სააკაშვილი ოკუპირებული აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან მდებარე სოფელ განმუხურს ესტუმრა და აღდგენილი საკურორტო ზონა მოინახულა. მან ყურადღება გაამახვილა სანაპირო ხაზზე ოკუპანტების მიერ აშენებულ გამყოფ კედელზე. "პუტინის დაენგრა კედელი ბერლინში და აქ აგვიშენა ახალი კედელი," - განაცხადა პრეზიდენტმა.

დათო გაბისონია

პრეზიდენტ სააკაშვილის თქმით, ფოთის ძველი აეროპორტის ტერიტორიაზე სახელმწიფოს ფინანსებით ახალი აეროპორტი აშენდება. ფოთში, ტერმინალებისა და ადმინისტრაციული შენობის გარდა, საფრენი ბილიკებიც უმაღლესი ევროსტანდარტის დონეზე გაკეთდება. მშენებლობა წელიწადნახევარში უნდა დასრულდეს. შემდეგ კი აეროპორტი, ფაქტობრივად, ყველა სახის ავიალაინერის მიიღებას შეძლებს. "აქ აშენდება საქართველოსა და ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი აეროპორტი. ზაფხულობით ეს აეროპორტი მიიღებს უფრო მეტ მგზავრს და ტვირთს, ვიდრე ბა-

ქო, ერევანი და თბილისი ერთად აღებული. ეს იქნება საქართველოსთვის ევროპასთან ყველაზე ახლოს მდებარე აეროპორტი. ამავე დროს უზრუნველყოფს ძალიან დიდ ტვირთგადაზიდვებს," - განაცხადა სააკაშვილმა. მან ახალი მშენებლობის მნიშვნელობა ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური განვითარების კონტექსტში განიხილა. "როდესაც მშენებლობა დამთავრდება, ბათუმი და მთელი ჩვენი სანაპირო ზოლი ძალიან დიდი დანიშნულების ტურისტული ცენტრი იქნება. სწორედ ამ დროისთვის ფოთში, ისევე როგორც ესპანეთში, თურქეთში, ჩარტერული რეისები დაიწყებენ ფრენას.

ბაზრძალაბა A2 გვირგვინი

რუსეთი და ბელარუსი პერიბლენ

თუმცა ეს დოკუმენტურად არ გაუფორმებიათ

ივა შილაკაძე

სოჭში რუსეთის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევისა და ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრ ლუკაშენკოს შეხვედრა შედგა. მოკავშირეებს პრობლემები დაუგროვდათ, ორივე მხარე საკმაოდ განანწყებული იყო და შესაბამისად საუბარიც რთულად მიმდინარეობდა. შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტები ჟურნალისტებთან არ გამოსულან, შეხვედრის დასაწყისიც მხოლოდ ტელეკომუნიკაციების განვითარების განხორციელების მიზნით შედგა. საუბრის შინაარსის შესახებ ინფორმაცია მედიას რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწემ სერგეი პრიხოდკომ და ბელარუსის პრეზიდენტის პრესსამსახურმა მიაწოდეს (ცხადია, თვით ლუკაშენკოს განცხადების ციტატებით). ჟურნალისტებს და ექსპერტებს დასკვნების გამოტანა მცირე დეტალებით უზღებოდათ - მაგალითად, მომსახურე პერსონალის მიერ შეხვედრის ოთახიდან გამოტანილი სავსე ჭიქების მიხედვით. როგორც ჩანს, პრეზიდენტებმა სამსაათი-

ნი საუბრის დროს სასმელისთვის ვერ მოიცალეს ან განწყობა არ ჰქონდათ.

უფრო კმაყოფილი და ოპტიმისტური ბელარუსის პრესა იყო, რუსული მედია შეხვედრის მიმართ მეტ სკეპტიციზმს გამოხატავდა.

ჩვენ აღარ დავწვინდებოთ ლუკაშენკოს ლირიკულ წიაღსვლებზე, საუბრის გახსნილობასა და მის შთაბეჭდილებებზე. ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით, პრეზიდენტები, ძირითადად, სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებზე შეთანხმდნენ. ამას, ცხადია, მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, პირველ რიგში, რუსეთისთვის. ლუკაშენკო მედვედევს შეჰპირდა, რომ ბელარუსი დაუბრუნდება თავის "კუთვნილ" თავმჯდომარის ადგილს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაში, აქტიური მონაწილეობას მიიღებს "ოპერატიული რეაგირების კოლექტიური ძალების" ეგიდით სექტემბერში ბელარუსში დაგეგმილ ერთობლივ წვრთვებში.

ბაზრძალაბა A4 გვირგვინი

უკრაინული გაზეთი: საქართველოს მხარეზე ბრძოლა უკრაინელთა უფლებაა

უკრაინული გამოცემა "დენ"-ი რუსეთის გენერალური პროკურატურის საგამოძიებო კომიტეტის იმ განცხადებას გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც, 2008 წლის აგვისტოში უკრაინელი ნაციონალისტები საქართველოს მხარეზე იბრძოდნენ.

"დავუშვათ, რომ "უნა-უნსოს" ზოგიერთი წევრი მართლაც იბრძოდა საქართველოს მხარეზე. რა იურიდიული შედეგები შეიძლება ჰქონდეს ამას უკრაინის სახელმწიფოსთვის? არანაირი. უკრაინელ მოქალაქეებს თავისუფალი გადაადგილების უფლება აქვთ და სახელმწიფო ამაზე ვერანაირ ზეგავლენას ვერ მოახდენს. ეს ადამიანის ერთ-ერთი ხელშეუხებელი უფლებაა. თუ ეს რუსეთში არ იცინა, ყურადღებით შეისწავლონ გაერო-ს შესაბამისი დეკლარაცია. საქართველოსთან უკრაინას უფიზო რეჟიმი აქვს და ვისაც სურვილი და საშუალება გააჩნია, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე შეუძლია იქ ჩასვლა. თავისუფალი ადამიანი თავად აგებს პასუხს საკუთარ თავზე და თუ მან სადმე ომში მონაწილეობა გადაწყვიტა, ეს მისი არჩევანია," - წერს უკრაინული გაზეთი.

სტატიაში ისიც არის აღნიშნული, რომ უკრაინა საქართველოს შეიარაღებას კანონიერ საფუძველზე აწვდის და რუსეთის გენერალური პროკურატურის საგამოძიებო კომიტეტის მიერ საომარი მოქმედების ზონაში უკრაინული საზენიტო კომპლექსების პოვნა არაფერს ნიშნავს. **მედია-ნიუსი**

ნინო ბურჯანაძე პრეზიდენტს ქართული ჭარის დანგრევამი ადანაშაულებს

"დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს" ლიდერი ნინო ბურჯანაძე თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე ბაჩო ახალიას დანიშვნის გამო პრეზიდენტს ჯარის პოლიტიზების მცდელობაში ადანაშაულებს.

მისი თქმით, ახალიას შესაბამის უწყებაში მუშაობის გამოცდილება არ აქვს და აღნიშნული საკადრო ცვლილება მიხეილ სააკაშვილმა მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე განახორციელა.

"ჯარში ახალიას დანიშვნა იმის ნიშანია, რომ საკავშირეო ცდილობს ჯარი შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილს დაუქვემდებაროს და პოლიციური მექანიზმები განახორციელოს. ახალიას დანიშვნა ნიშნავს იმას, რომ სააკაშვილმა ხელი აიღო ჯარის გაძლიერებაზე და ქართულ ჯარს დღითიდღე ანადგურებს," - განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ნინო ბურჯანაძემ. **მედიანიუსი**

"გაერთიანებული ტელეკომის" ახალი სატარიფო სქემა დღეიდან ამოქმედდება

"გაერთიანებულ ტელეკომს" მიმდინარე წლის სექტემბერში ახალი სატარიფო სქემა შემოაქვს. შემუშავდა სატელეფონო მომსახურებაზე სამი სხვადასხვა პაკეტი, რაც თბილისელ აბონენტს საშუალებას აძლევს, თავად აირჩიოს მისთვის სასურველი პირობები.

"გაერთიანებული ტელეკომის" მომხმარებლებს აგვისტოში შეეძლოთ სამი პაკეტისად ერთ-ერთის არჩევა, რომლითაც სექტემბერში კომპანია მოემსახურება. იმ შემთხვევაში, თუ აბონენტმა არ გამოიყენა თავისი უფლება აირჩიოს სასურველი პაკეტი, მაშინ მისთვის 2009 წლის 1 სექტემბრიდან ძალაში შევა მე-2 პაკეტი (7-ლარიანი).

სოციალური პირობების გათვალისწინებით, "გაერთიანებულ ტელეკომში" მიიღეს გადაწყვეტილება, გაეზრდებოდა სპეციალური შეღავათები თბილისში რეგისტრირებულ 11 ათასზე მეტ პირზე: I ჯგუფის და ყველა უსინათლო ინვალიდზე, ასევე არამომუშავე პენსიონერებისგან შემდგარ ოჯახებსა და მარჩენალდაკარგულ ოჯახებზე. აღნიშნული კატეგორიები ამჟამად სახელმწიფოსგან ფინანსური სახით იღებენ სოციალურ დახმარებას, ხოლო "გაერთიანებული ტელეკომი" ხსენებულ კატეგორიაში მყოფ მოქალაქეებს სატელეფონო მომსახურებაზე 50-პროცენტით ფასდაკლებას შესთავაზებს.

სამომავლოდ საქართველოს მასშტაბით შეღავათები დაუნესდება 20 ათასზე მეტ პირს. "გაერთიანებული ტელეკომი" ძალაში ტოვებს იმ შეღავათებს, რომლებიც სოციალურად დაუცველ კატეგორიებზე ვრცელდებოდა: I ჯგუფის უსინათლო ინვალიდებზე, მარტოხელა პენსიონერებზე და მარტოხელა ბავშვობიდან ინვალიდებზე, რომლებსაც მარჩენალი არ გააჩნიათ. მათ ეძლევათ 50-პროცენტით ფასდაკლება სააბონენტო გადასახადზე და ასევე უფასო წუთები (100 წუთი და 400 წუთი) ყველა ქსელზე სასაუბროდ. **ჯე-იენი**

რუსი სამხედროების შვილები გუფთის სკოლაში ისწავლიან

ზნაურის რაიონში დისლოცირებული რუსი სამხედროების შვილები სოფელ გუფთის სკოლაში ისწავლიან. ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტო "ოსინფორმი" იუწყება. სკოლა 22 მოსწავლეზეა გათვლილი და პედაგოგებით სრულად არის დაკომპლექტებული.

რუსი ჯარისკაცების შვილები რუსეთის საგანგებო სიტუაციების სამინისტროს მთავარი სამმართველოს ჩრდილოეთ ოსეთის განყოფილების თანამშრომლებმა მონახულეს და საჩუქრებიც ჩაუტანეს. **ინტერპრესნიუსი**

ევროკავსთან ყველაზე ახლოს მდებარე აეროპორტი

პირველი გზიდან

დარწმუნებული ვარ, აქ ევროპიდან დიდი თვითმფრინავები იფრენენ. აქედან ევროპამდე საფრენი მანძილი 3-დან 4 საათამდეა და ჩვენთან ასობით ათასი ტურისტი ჩამოვა," - მიიჩნევს სააკაშვილი. რაც შეეხება ადღეს არსებულ ვითარებას, სააკაშვილის თქმით, აჭარაში ტურისტების რაოდენობამ 400 ათას ადამიანს გადააჭარბა, ხოლო 2012 წლისთვის ეს რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება. **"აღრე რომ ვთქვა, 2012 წელს 2 მილიონი ტურისტი გვეყოლება-მეთქი, ერთ-ერთი ოპოზიციონერი გამოვიდა ტელევიზიით და თქვა, რომ სააკაშვილის ტყუილებმა ტვინი წაიღო. მათ გასაგონად მინდა განვაცხადო, 2 მილიონი კი არა, 2012 წელს ჩვენ გვეყოლება ალბათ 3 მილიონი ტურისტი. ჩვენ ვვითარდებით ჩქარა, გვაქვს სერიოზული**

გეგმები," - განაცხადა პრეზიდენტმა.

გარდა ამისა, ფოთში ბეტონის ახალი ქარხნის გახსნისას, პრეზიდენტმა ქვეყანაში არსებული უმუშევრობის პრობლემის დაძლევის შესახებ ისაუბრა. მისი თქმით, კონკრეტული ქარხნების აშენება განაპირობებს საბოლოო შედეგს. ქარხნის მშენებელი შპს "პრაიმ ბეტონის" ძირითადი საქმიანობა მაღალი ხარისხის ბეტონის წარმოება, მისი ტრანსპორტირება იქნება. ქარხანა ათასწლეულის პროგრამის ფარგლებში, რეგიონული განვითარების ფონდის ინვესტიციით აშენდა, კერძოდ - 2 მლნ აშშ დოლარითა და ადგილობრივი პარტნიორის მიერ ჩადებული 582 090 აშშ დოლარით. ქარხანა აღჭურვილია უახლესი აპარატურით, ასევე ბეტონის ტრანსპორტირების და გადასატუმბი მოწყობლობით. კომპანია აწარმოებს მომხმარებლის საჭიროებიდან გამომდინარე

ბეტონის ყველა სახეობას, მათ შორის სულფატების მიმართ მდგრად ბეტონს, რომელიც უკეთ უძლებს მლაშე წყლით გამოწვეულ ეროზიას და ზღვისპირეთის კლიმატურ პირობებს. მომავალში დაგეგმილია ბეტონის ფილების, ბლოკის და ბეტონის დანამატი პლასტიფიკატორის წარმოება. ამჟამად ფონდში უკვე დაამტკიცა 10 საინვესტიციო პროექტი, რომელთა ღირებულება 21 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. ქარხანაში, სადაც 30 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა, პრეზიდენტი მუშებს გაესაუბრა. **"როცა ჩვენ აქ სამუშაოები დაიწყეთ, ყველა ცალკე აღებულ რაიონში პრაქტიკულად რამდენიმე ადამიანი თუ იყო დასაქმებული. ახლა კი ნახევარი დასაქმდა, ე.ი. ჩვენ დაპირება უკვე სანახევროდ შევასრულეთ. მეორე ნახევარს დაპირებულ ვადებში შევასრულებთ,"** - აღნიშნა სააკაშვილმა.

პრეზიდენტმა ფოთში ჩასვლამდე, გუშინ ღამით, სოფელი განმუხური მოინახულა. აღდგენილ პატარა საკურორტო ზონაში სააკაშვილმა პირობა დადო, რომ **"ეს ადგილი ორსამ წელიწადში შავი ზღვის ყველაზე მაგარი კურორტი გახდება."** მან ერთმანეთს შეადარა აფხაზეთში, ოკუპანტების მიერ აშენებული კედლით გამოყოფილ ტერიტორიაზე და დანარჩენ საქართველოში არსებული ვითარება. **"ეს არის განათებული საქართველო, სადაც ქართველები წყვეტენ თავიანთ ბედს და აქვე არის ახალი ბერლინის კედელი,"** რომლის იქით ოკუპირებული საქართველოა, სადაც ადამიანები არაფერს წყვეტენ და სადაც რუსები, რომლებსაც ჩვენზე ასჯერ მეტი ტერიტორია და ათასჯერ მეტი ფული აქვთ, არ გვაცლიან ნორმალურად ცხოვრებას," - განაცხადა პრეზიდენტმა.

თამარაშენის ტერიტორიაზე "მოსკოვის კვარტალი" გაშენდა

ნათია მსხილაძე

კრემლმა ქართულ სოფელ თამარაშენის ტერიტორიაზე, საიდანაც შარშან, აგვისტოს ომის დროს, ქართული მოსახლეობა გამოდევნეს, მიკრორაიონი "მოსკოვის კვარტალი" გახსნა. წითელი ლენტის მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა გაჭრა. "მოსკოვის კვარტლის" გახსნა მოსკოვის მერიას 2.5 მლნ რუბლ (დაახლოებით, 78.5 მლნ აშშ დოლარი) დაუჯდა.

რუსულ სააგენტო "ინტერფაქსის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით,

თამარაშენის ტერიტორიაზე კომპანია "სუ-155"-ის მიერ აშენებულ ახალ მიკრორაიონში 189 საცხოვრებელი კოტეჯი განთავსდება და სავაჭრო ცენტრი, ორი საბავშვო სახლი და 600-ადგილიანი სკოლა იფუნქციონირებს. თითოეულ ორსართულიან კოტეჯს, რომე-

ლიც ერთ ოჯახზეა გათვლილი, ავტოფარეხი, ავტონომიური საქვავბე და საკარმიდამო ნაკვეთი ექნება. სახლების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ შენდება.

სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის პრემიერ მინისტრ ვადიმ ბრუცვეცის თქმით, ბიზნეს, პირველ რიგში, მრავალშვილიან, ახალგაზრდა და აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახებს მისცემენ, რაც კანონმდებლობის დონეზე დარეგულირდება.

ცხინვალში სტუმრად ჩასული რუსეთის დელეგაცია ოს სეპარატისტთა ლიდერმა ედუარდ კოკოითი მიიღო და მათ დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა. **"ჩვენ კარგად გვახსოვს, თუ რადღეონი რამ გააკეთა მოსკოვის მთავრობამ ჩრდილოეთ ოსეთისთვის ბესლანის ტრაგედიის დროს და დღეს, აგვისტოს ტრაგედიის შემდეგ, ის ისევ ჩვენთან არის. მოსკოვმა ერთ-ერთმა პირველმა გაუსწავა დახმარება სამხრეთ ოსეთს. ჩვენ**

ძალიან კარგად გვახსოვს ჰუმანიტარული ტვირთით სავსე ეშლონები, რომლებსაც მოსკოვის მთავრობა მოსახლეობისთვის აგზავნიდა," - განაცხადა ედუარდ კოკოითიმ მოსკოვის მერთან შეხვედრისას. თავის მხრივ, იური ლუჟკოვმა თანამშრომლობისათვის მადლობა გადაუხადა "სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას".

"ჩვენ ყველა იმ პროცესის თანამებრძოლები ვართ, რაც, საბოლოო ჯამში, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შექმნით დასრულდა. გასული წლის აგვისტოს მოვლენებისას ყველა შემოთავალი იყო გენოციდის იმ ვერაჯული ფაქტებით, რომლებიც სააკაშვილმა თავის დამპყმებთან ერთად ჩაიდინა. თუმცა დღეს უკვე ცხადია, რომ თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის დამარცხება შეუძლებელია," - განაცხადა ცხინვალში ჩასულმა იური ლუჟკოვმა. ოფიციალურმა თბილისმა მოსკოვის მერ იური ლუჟკოვის ცხინ-

ვალში ვიზიტი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დარღვევად შეაფასა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ გუშინ საქართველოს საგარეო უწყებაში გამართულ ტრადიციულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ რუსეთი კვლავ ცდილობს, საერთაშორისო საზოგადოებას საკუთარი ვირტუალური რეალობა მოახვიოს თავს. **"ეს რუსეთის საგარეო პოლიტიკისთვის ჩვეულებრივი ამბავია, საერთაშორისო საზოგადოებისთვის კი - საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა. ეს საქციელი ცინიკურია და ქართული მხარე მის წინააღმდეგ მკაცრ პროტესტს გამოთქვამს. მსგავს ნაბიჯებზე ჩვენ მომავალშიც ადევნებთ რეაქცია გვექნება და საერთაშორისო საზოგადოებას მათი აღკვეთის აუცილებლობას ყოველთვის ფხიზლად შევასხებთ,"** - განაცხადა ჯალაღანიამ.

საქართველოში ინვესტიორების პოლიტიკურ რისკებს MIGA დააზღვევს

ნირო ნატროშვილი

მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტოსა (MIGA) და საქართველოს საინვესტიციო რისკების მართვის სააგენტოს შორის ურთიერთგაგების შემორანდუმი გაფორმდა.

შემორანდუმს სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" MIGA-ს აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა იზუმი კობაიშიმ და საინვესტიციო რისკების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა ზურაბ სიმონიამ მოაწერეს ხელი.

MIGA მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი ორგანიზაციაა, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესვლას გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, ასევე ეკონომიკის ზრდას. ამას სააგენტო ინვესტიორებისთვის და

კრედიტორებისთვის პოლიტიკური რისკების დაზღვევის შეთავაზებით ახორციელებს.

როგორც MIGA-ს აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა იზუმი კობაიშიმ "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, **"ჩვენი ორგანიზაციისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია ამ შემორანდუმის გაფორმება. ჩვენ მონადინებულნი ვართ, რაც შეიძლება მეტი ფული შემოვიდეს საქართველოში და ამაში ინვესტიორებს ხელი შეუწყობს. ჩვენი მიზანია თქვენს ქვეყანაში ბიზნესის განვითარება."**

იზუმი კობაიშიმ საქართველოში ვიზიტის ფარგლებში ბიზნესფორუმშიც გაიმართა, რომელიც საქართველოს ფინანსთა მინისტრმა კახა ბაინდურაშვილმა გახსნა.

ბაინდურაშვილის განცხადებით, აქამდე MIGA საქართველოში წარმოდგენილი არ ყოფილა, რადგან ამის საჭიროება არ არსებობ-

და. რუსეთის აგრესიის შემდგომ და მსოფლიო ფინანსური კრიზისის პირობებში კი საქართველომ სააგენტოსთან ურთიერთობა დაიწყო.

"აღნიშნული შემორანდუმი ძალიან მნიშვნელოვანია ინვესტიორების მოზიდვის თვალსაზრისით. შემორანდუმის თანახმად, ინვესტიორებს MIGA-სთან კონტაქტი გაუადვილებათ. ეს ინვესტიორებისთვის ნიშნავს დამატებით დარწმუნებას, რომ მათ მიერ განხორციელებულ ინვესტიციებს ქვეყანაში არანაირი რისკი არ დაემუქრება, საუბარია პოლიტიკურ რისკებზე. ინვესტიორების დაზღვევის შემთხვევაში მათგან მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტო (MIGA) გარკვეულ თანხას მიიღებს, თუმცა, რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, ეს გასამრჯელო მაღალი არ არის, ინვესტიორების რისკები კი

დაცული იქნება და მათ ინვესტიციას საფრთხე არ დაემუქრება," - განაცხადა მინისტრმა.

გაფორმებული შემორანდუმის ფარგლებში MIGA და საინვესტიციო რისკების მართვის სააგენტო ერთობლივი მხარდაჭერის პროგრამებს შეიმუშავენ, რომლებიც საქართველოში მომუშავე უცხოელ ინვესტიორებზე იქნება გათვლილი.

საინვესტიციო რისკების მართვის სააგენტო უცხოელ ინვესტიორებს MIGA-ს პროდუქტების და მომსახურების შესახებ მიაწვდის ინფორმაციას. MIGA უზრუნველყოფს პოლიტიკური რისკების დაზღვევას შესაბამისი კატეგორიის ინვესტიორისთვის.

მსგავსი ტიპის შეთანხმება საქართველოს საინვესტიციო რისკების მართვის სააგენტოს უკვე გაფორმებული აქვს საერთაშორისო სო კერძო საინვესტიციო კორპორაციასთან (OPIC).

გაზეთი "24 საათის" გამოცემაელი შპს "მევა". რედაქტორ-გამომცემელი: მამუკა ფარქაშვილი, პაბატა მუშაბიძე.

რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: შაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალაიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი),

სოფო კილაშინია (რეჟია), კახა ფარქაშვილი (სპორტი). **რედაქციის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლევაკა ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ტექნიკის მენეჯერი**, ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქორია, ნინო ყავლაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ჰონ ტიფტი: "საქართველოდან უამრავი კარგი მოგონება მიყვება"

პირველი გვარდია

- რთულია რაიმე კონკრეტული გამოყოფა. საქართველოზე უამრავი კარგი მოგონება მექვება. რასაკვირველია, ომი არ არის კარგი მოგონება. ერთი, რითიც ვამაყობ და განსაკუთრებით აღვნიშნავდი, არის ის პასუხი, რომელიც შეერთებული შტატების მხრიდან საქართველომ გასული წლის ომისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ მიიღო. ჩვენი პასუხი ნაწილობრივ როგორც ჰუმანიტარულ, ასევე იმ მილიარდობობრივ დახმარებაში გამოიხატებოდა, რომელიც საქართველოს შეერთებულმა შტატებმა გამოუყო. ამაში ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის ჯოზეფ ბაიდენს, რომელიც იმ პერიოდისთვის სენატორი იყო და სენატში ძალიან აქტიურობდა. აღმასრულებელ რეგულაციებს სააგენტო, ყველა სამთავრობო ცვლადი გაერო-სთან და, რათა საქართველოს მიეღო მილიარდობობრივი დახმარება. ეს იყო საქართველოს მიმართ შეერთებული შტატების განწყობის მტკიცე ნიშანი.

- თქვენ მრავალი წელია დიპლომატი ხართ. გაქვთ ყოფილ საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის გამოცდილება? მოგეხსენებათ, საქართველოც საბჭოთა კავშირის ნაწილი იყო, თუმცა იგი ერთ-ერთი პირველი ქვეყანა გახდა რეგიონში, რომელმაც ლიბ დინყო დასავლური ფასეულობების დანერგვა. აქ ჩამოსვლისას თი იგრძენით საბჭოთა სისტემის გავლენა... როგორი იყო თქვენი პირველი შობაბუნებრივი ამ ქვეყანაზე და როგორია ახლა?

- მე მსოფლიოს არ ნაწილში მუშაობის დიდი გამოცდილება მაქვს. მოღვაწეობა დაიწყო 1977 წელს, როდესაც ჟენერალმა ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიკა დაიწყო. მაშინ მმართველობაში ვერ კიდევ კომუნისტები იყვნენ. 1991 წელს, იმ პერიოდში, როდესაც საბჭოთა კავშირმა არსებობა შეწყვიტა, ვმუშაობდი აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში საბჭოთა კავშირის განყოფილებაში. ასევე ვიყავი სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილე, ვკურირებდი პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, ჩემს სფეროებში შედიოდნენ რუსეთი, უკრაინა, ბელარუსი და მოლდოვა. საქართველომ, განსაკუთრებით ვარდების რევოლუციით, სერიოზული განაცხადი გააკეთა, რომ მას ქვეყანაში დემოკრატიის დამკვიდრება და გაძლიერება სურს. როგორც საქართველოში სტუმრობისას ვიცე-პრეზიდენტმა ბაიდენმა აღნიშნა: "ჩვენი ურთიერთობა ეფუძნება საერთო დემოკრატიულ იდეალებს, ეყრდნობა იმ ფასეულობებს, რაც ჩვენს ქვეყნებს აკავშირებს. დემოკრატია რთული და ხანგრძლივი პროცესია, შეიძლება ხშირად გვეყრდნობდეს, რომ ეს პროცესი უფრო სწრაფად წარიმართოს, მაგრამ მე საქართველოში პირველად ჩამოსვლის დროსაც და დღესაც იმას ვფიქრობ, რომ მეტი უნდა გავკეთდეს და ეს არის პროგრესი, რომელსაც დრო სჭირდება."

- ბუნებრივია, საქართველოში ჩამობრძანებამდე, გექნებოდათ ინფორმაცია ამ ქვეყნის შესახებ და აქ განვითარებულ მოვლენებზე... რამდენად შეესაბამებოდა წინასწარი შობაბუნებრივი რეალობას?

- რა თქმა უნდა, საქართველოში ჩამოსვლამდე კარგად ვიყავი ინფორმირებული. როდესაც საქართველოში დანიშნვის შესახებ შევიტყვე, ის პერიოდი კარგად გამოვიყენე და მოვეზუხადე. მრავალი შეხვედრა მქონდა საქართველოს თემაზე მომუშავე ადამიანებთან, ჩემს წინამორბედ ელჩთან, ბატონ მაილსთან, ასევე ექსპერტებთან. საქართველოში მუშაობის დროსაც მჭიდრო კონტაქტი მქონდა არასამთავრობო სექტორისა და ანალიტიკური ცენტრების წარმომადგენლებთან, როგორც ამერიკელებთან, ისე ევროპელებთან - მათთან, ვინც კარგად ფლობს ინფორმაციას და იცნობს საქართველოს.

- ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია და მხარს უჭერს ქვეყანაში დემოკრატიის და დემოკრატიული

ინსტიტუტების განვითარებას. თქვენც, მთელი ოთხი წლის განმავლობაში, როგორც აშშ-ს წარმომადგენელი, ამ კუთხით მუშაობდით და რეკომენდაციებს აძლევდით ქვეყნის ხელისუფლებას, რათა ქვეყანაში იყოს უფრო მეტი დემოკრატია. ახლა, საქართველოში თქვენი ოთხწლიანი მოღვაწეობის დასასრულს, როგორ შეაფასებთ ქართული დემოკრატიის ხარისხს? არის მოსაზრება, რომ საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება შეჩერდა...

- კვლავ ვიცე-პრეზიდენტ ბაიდენის სიტყვებს ვაგიჟობრებ, რომელიც მან საქართველოს პარლამენტში გამოსვლისას წარმოთქვა: "არ არსებობს დემოკრატიის რაიმე სპეციფიკური შემოწმება. მე განსაკუთრებით მივიჩნევთ საქართველოს ახალგაზრდობას, ქართველი ლიდერების მომავალ თაობას, რათა გავაგრძელოთ მათი იდეალების, მათი ხმის და ენერჯის ხელშეწყობა და ამით დავეხმაროთ მშვიდობიანი, სტაბილური, დემოკრატიული და ეკონომიკურად აყვავებული საქართველოს შექმნას." საქართველო უკვე დგას ამ გზაზე და მას სხვა ქვეყნები ეხმარებიან. ამ პროცესში მე ჩემი წვლილი შეტანას ვცდილობდი. ჩემს შემდეგ ამ მისიას ელჩი ბასი გააგრძელებს.

- ბატონო ტიფტი, საქართველოში თქვენი მუშაობის მანძილზე სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მხრიდან არაერთხელ გახდებოდათ კრიტიკის ობიექტი. ხშირად გაისმის ბრალდებები, რომ ხელისუფლებას ლობიობთ. როგორ მოქმედებს თქვენი დიპლომატიური საქმიანობაზე ასეთი განცხადებები? ალბათ იმ პოლიტიკურ ფიგურებთანაც გინვეთ ურთიერთობა, ვინც თქვენი მისამართით ასეთ განცხადებებს აკეთებს...

- მე დიპლომატი ვახლავართ. მე ვარ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის წარმომადგენელი და აქ, ჩვენი საელჩოს თანამშრომლებთან ერთად, მის პოლიტიკას ვატარებ. ამ პოლიტიკას პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, სახელმწიფო მდივანი და სხვა ოფიციალური პირები ქმნიან. მართალია, ზოგი მაკრიტიკებს, ეს მათი ნებაა. წლების განმავლობაში ვცდილობდი, აქტიურად მეშუაება როგორც ოპოზიციის, ისე არასამთავრობო, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან საქართველოში დემოკრატიული განვითარების, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ვმუშაობდით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხებზე. ჩვენთვის ეს ყოველდღიური სამუშაოა.

- თქვენ აშშ-სა და საქართველოს თანამშრომლობაში ერთგვარი შუამავალი ხართ და საქართველოში მიმდინარე ყველა პროცესს ინტერესით აკვირდებით. ფაქტობრივად, 2007 წლის 7 ნოემბერს დადებული, საქართველოში პოლიტიკური პროცესები პერმანენტული არასტაბილურობით ხასიათდება. თქვენ, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი, რაში ხედავთ გამოსავალს? რა რეკომენდაციები შეგიძლიათ მისცეთ ხელისუფლებას და ოპოზიციას?

- ეს საკითხები ნამდვილად არსებობს. მე კვლავ ბატონი ბაიდენის სიტყვებს მოვიშველიებ: "ვარდების რევოლუცია მხოლოდ მაშინ დასრულდება, როდესაც მთავრობა მეტიდ გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულები გახდება, ხოლო მართვა საზოგადოების ფართო მონაწილეობით განხორციელდება; როდესაც სხვადასხვა საკითხებზე დავა პარლამენტის შენობის დარბაზებში წარიმართება და არა მხოლოდ გარეთ, ქუჩაში; რომ მეტი არის გასაკეთებელი და ვარდების რევოლუცია მაშინ იქნება ბოლომდე მიყვანილი, როცა დემოკრატიული კუთხით საქართველოს უფრო მეტი პროგრესი იქნება." ეს არის გარკვეულად იმის შეჯამება, რის უზრუნველყოფასაც ჩვენ ვცდილობთ. სწორედ ამაზე ვსაუბრობთ მთავრობასთან და ოპოზიციასთან.

- ამ დღეებში ძალიან აქტიურად საუბრობდნენ გუანტანამოს ციხის

პატიმრების საქართველოში გადმოყვანაზე. სხვათა შორის, ამ კონტექსტში იმაზეც იყო ლაპარაკი, რომ ეს, შესაძლოა, საქართველოში ამერიკის სამხედრო ბაზის განთავსების პარალელურად მოხდარიყო. რამდენად რეალურია ასეთი პერსპექტივა?

- "ვაშინგტონ პოსტში" ვნახე სტატია ბაზების შესახებ და ეს ხუმრობად მივიჩნიე. საქართველოში ერთმა ოფიციალურმა პირმა უთხრა ამერიკის ოფიციალურ პირს, რომ მივიღებთ გუანტანამოს ციხის ყველა მკვიდრს, თუ თქვენ საქართველოში სამხედრო ბაზას ააგებთ და, ჩემი აზრით, ეს ხუმრობა იყო "ვაშინგტონ პოსტის" სტატიაში ასახული. როდესაც სახელმწიფო მოხელე ხარ და სტატუსი გაქვს, ძალიან ფრთხილად უნდა იყო ხუმრობისას. რაც შეეხება გუანტანამოს ციხის მკვიდრთა განაწილებას საქართველოში, ეს ამაჟამად განხილვის სტადიაშია, მიმდინარე პროცესია და ამაზე საუბარი ნაადრევი იქნება.

- შეერთებული შტატები გლობალური უსაფრთხოების სისტემის მთავარი გარანტიაა. რა ფუნქცია აქვს საქართველოს უსაფრთხოების ამ სისტემაში?

- საქართველო შეერთებული შტატებისთვის მუდამ იყო საინტერესო. ამ საკითხზე საკმაოდ ზუსტად ისაუბრა ვიცე-პრეზიდენტმა ბაიდენმა თავის გამოსვლაში. მისი თქმით: "საქართველო გახდა მოდელი დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის კანონის უზენაესობისა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში." საქართველო მნიშვნელოვანია თავისი სატრანზიტო ფუნქციის გამო, რაც გამოიხატებოდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენისა და ნავთობისა და გაზის სხვა მნიშვნელოვანი მილსადენების ტრანზიტის შესაძლებლობაში. საქართველო მნიშვნელოვანია, როგორც პარტნიორი შეერთებული შტატებისა და ევროპისთვის. ჩვენ და ჩვენი ევროპელი მოკავშირეები საქართველოს პარტნიორად მივიჩნევთ. ეს აისახა ბუქარესტში ნატო-ს სამიტზეც, სადაც ითქვა, რომ საქართველოს გახდება ნატო-ს წევრი. ასევე აისახება საქართველოსა და ევროპის ურთიერთობებში.

- ობამას ხელისუფლების მოსვლამდე საქართველოში არსებობდა შიში, რომ საქართველოს მიმართ ამერიკის ინტერესი შემცირდებოდა. ობამას ხელისუფლების მიერ გადადგმულმა პირველივე ნაბიჯებმა აჩვენა, რომ ეს ინტერესი კვლავ არსებობს. არის თუ არა საფრთხე, რომ მომავალში საქართველო ნაკლებად აქტიურად გახდება ამერიკისთვის და მას სხვა საერთაშორისო საკითხები და ინტერესები გადაწონის?

- მინდა კვლავ ბაიდენის სიტყვების ციტირება მოვახდინო: "ვიცი, არსებობს გარკვეული ნუხილი, რომ რუსეთთან ჩვენი ურთიერთობების გადატვირთვა საქართველოს ხარჯზე მოხდება. მინდა, ნათლად განვაცხადო: ეს არ მომხდარა, ეს არ მოხდება და ეს ვერ მოხდება." ეს დღესავით ნათელია.

- ბატონმა ვიცე-პრეზიდენტმა საქართველოს პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას მკაფიოდ აღნიშნა, რომ შეერთებული შტატები დამკვიდრებული გავლენის სფეროების არსებობის წინააღმდეგია. ბაიდენის თქმით, საქართველოს თავისუფლება მნიშვნელოვანია ამერიკისა და მთელი მსოფლიოსთვის... საქართველოში მისი ეს ვიზიტი შეფასდა, როგორც ობამას მოსკოვური ვიზიტის შემდგომ კრემლისთვის გაგზავნილი მესიჯი. ეს მართლაც ასე იყო თუ არა და, თქვენი აზრით, რამდენად სწორად აღიქვა ადრესატმა აღნიშნული გზავნილი?

- მოსკოვში ეს ნათლად აღიქვეს. ეს ჩვენი პოლიტიკის ფუნდამენტურ ნაწილს წარმოადგენს და ჩვენი ევროპელი მოკავშირეებიც ამავე აზრზე არიან. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის სამეზობლო პოლიტიკა და პარტნიორობის პროგრამა, რომელიც საქართველოს აქვს. ასეთია ახალი, 21-ე საუკუნის ევროპული წყობა. ხოლო ინტერესთა გა-

დანაწილების სფერო, როგორც ბაიდენმა აღნიშნა, მე-19 საუკუნის პოლიტიკის ასახვაა.

- აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს ნატო-ში განწევრიანების თარიღმა განუსაზღვრელი ვადით გადაინია. თუმცა, ბუქარესტის დაპირება ძალაში რჩება. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია საქართველოს ნატო-ში განწევრიანების შანსი?

- მე ძალიან სერიოზულად აღვიქვამ ბუქარესტში ნატო-ს სამიტის დროს გაუფრთხილ სიტყვებს, რომ საქართველო და უკრაინა ნატო-ს წევრები გახდებიან. როგორ და რამდენად სწრაფად მოხდება, ეს ცალკე თემაა და ამაზე საუბარი გამიჭირდება. თუმცა ამ განცხადებას ძალზე სერიოზულად აღვიქვამ და ამისი მჯერა.

- დღეს საქართველოს საზოგადოებაში არსებობს მოსაზრება, რომ საქართველომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ არჩეული პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის გამო დავარდა ტერიტორიები - კერძოდ, რუსეთმა საქართველო დასავლური არჩევანის, მათ შორის ნატო-ში შესვლის მცდელობის გამო დასაჯა. როგორ ფიქრობთ, თუ საქართველო გააგრძელებს აღნიშნულ საგარეო-პოლიტიკურ კურსს, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის რა გარანტიები აქვს?

- საგარეო პოლიტიკა, რომელიც საქართველომ აირჩია, არის ის კურსი, რომელსაც, პირველ რიგში, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ემხრობა. ეს არ არის მთავრობის არჩევანი, ეს ის არჩევანია, რომელიც საქართველოს მოქალაქეებმა გააკეთეს. ამაში ჩვენ ყოველდღიურად ვრწმუნდებით, როდესაც ვხედავთ სტუდენტების რაოდენობას, რომლებიც თავიანთი განათლების შემდგომი ეტაპისთვის ამერიკას თუ ევროპას ირჩევენ. მიუხედავად შეერთებულ შტატებში ადმინისტრაციის ცვლილებისა, მიუხედავად იმისა, ხელისუფლებაში დემოკრატები იქნებიან თუ რესპუბლიკელები, საქართველოს მიმართ ამერიკის ადმინისტრაციის განწყობა არ იცვლება და არა მხოლოდ საქართველოს, პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმართაც. ამის შესახებ პრეზიდენტმა ობამამ მოსკოვში გააკეთა განცხადება, ვიცე-პრეზიდენტმა - საქართველოში, სახელმწიფო მდივანმა კლინტონმა კი თავის მთელ რიგ განცხადებებში.

- შეერთებული შტატები საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი ფინანსური დონორი და სტრატეგიული მოკავშირეა. თქვენი საქართველოში მოღვაწეობის პერიოდში არაერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროექტი განხორციელდა. თუ შეგიძლიათ გვიხსნათ, რომელი იყო მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი საქართველოს ეკონომიკისთვის?

- ამერიკის დახმარების პროგრამებიდან გამოყოფილი იმ დახმარებას, რომელიც საქართველოში ომის შემდეგ შემოვიდა. 250 მილიონი დოლარის ღირებულების პირველი ნაწილი საბიუჯეტო დახმარებაზე წავიდა, რამაც ხელი შეუწყო საქართველოს მთავრობას, გადაეხადა ხელფასები და შეესრულებინა საბიუჯეტო ვალდებულებები. ჩვენ გვაქვს სხვა პროგრამებიც, რომლებიც არ უკავშირდება პოსტკონფლიქტურ სიტუაციებს და საქართველოში ბოლო რამდენიმე წელია ხორციელდება. აღნიშნული პროგრამები მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს საქართველოს, რათა იგი თანამედროვე სახელმწიფო გახდეს. მე რამდენიმეს შესახებ მოგახსენებთ: ბიზნესის კლიმატის რეფორმის პროგრამა - იგი ეხმარებოდა საქართველოს მთავრობას რეფორმების გეგმების შემუშავებაში, რამაც ქვეყანას, ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმაში შეუწყო ხელი. საქართველო გახდა მსოფლიოში პირველი რეფორმატორი სახელმწიფო, რაც მსოფლიო ბანკმაც აღიარა. პროგრამის, სახელწოდებაა "ჯანმრთელი ქალები", ფარგლებში საქართველოში მცხოვრებ ქალებს მიეცათ საშუალება,

ბავშვები უსაფრთხო და დაცულ გარემოში გააჩინონ. ასევე აღვნიშნავ სასოფლო-სამეურნეო პროგრამას. გახსოვთ ალბათ, როდესაც რუსები ე.წ. ბუფერული ზონიდან გავიდნენ და ქართველი მოსახლეობა საცხოვრებელ ადგილებს დაუბრუნდა, მათ მოსავალი განადგურებული დახვდათ. აუცილებელი იყო ზამთრამდე თესვის მოსწრება. ჩვენ ძალიან სწრაფად მოვახდინეთ რეაგირება და ათასობით ფერმერსა და გლეხს გავუწიეთ დახმარება, მივანწოდეთ ხორბლისათვის მასალა, შედეგად კი გლეხებმა უმაღლესი ხარისხის მოსავალი მიიღეს. ვფიქრობ, ეს სამი კარგი მაგალითია.

- ბატონო ტიფტი, თუ შეგიძლიათ, გვიხსნათ თქვენი გეგმების შესახებ. საინტერესოა, სად გააგრძელებთ საქმიანობას. როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, თქვენ უკრაინაში უხელმძღვანელებთ დიპლომატიურ მისიას...

- ამ ინფორმაციას ვერც უარყოფ და ვერც დავადასტურებ. ჩემს მომავალს ვაშინგტონში ჩემი ხელმძღვანელები წყვეტენ.

- თქვენს შემცვლელად ჯონ ბასი დასახელდა. რა რეკომენდაციებს მისცემთ მას, რა უნდა გაითვალისწინოს საქართველოში მუშაობის პერიოდში?

- მას, პირველ რიგში, ის ვუთხარი, რომ ძალიან გაუმართლა, თუმცა მგონი არ სჭირდებოდა ამის თქმა, რადგან პრეზიდენტმა ობამამ და სახელმწიფო მდივანმა კლინტონმა შეარჩიეს. მთელი რიგი პრობლემების გამო, რომლებზეც უკვე ვისაუბრე, მას აქ ნამდვილად ექნება გამოწვევებით სავსე სამსახური. როდესაც ბატონ ბასს ვაშინგტონში შევხვდები, ვურჩევ, რაც შეიძლება მეტი იმოგზაუროს საქართველოს მას-სტაბით და მეტ ადამიანს შეხვდეს, იმ ადამიანებს, რომლებიც საქართველოს ცხოვრების მთელ სპექტრს წარმოადგენენ. საქართველოში ჩემი მოგზაურობისას აღმოვაჩინე, რომ ქართველები ძალზედ ამაღელვებელ მოქმედებებს სჩადიან. ისინი ყველგან აკეთებენ ცხოვრების, თავიანთი ქვეყნის გაუმჯობესებისთვის, იმისთვის, რომ მათმა შეილებმა და შეილიშვილებმა უკეთეს ქვეყანაში იცხოვრონ. ჯონ ბასსაც გაუჩვენებთ პატივისცემა იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ცდილობენ, თავისი ქვეყანა დასავლეთის ნაწილი გახადონ. ბოლო, მაგრამ არა უკანასკნელი რჩევა იქნება, რომ ფრთხილად იყოს ქართულ სუფრაზე, რადგან ქართული კერძები იმდენად გემრიელია, ძალზედ რთულია, ცდუნებას გაუძლო.

- როგორ შეაფასებდით თქვენს პირად წვლილს საქართველო-ამერიკის ურთიერთობების განვითარებაში?

- მეც და ჩემი თანამშრომლებიც აქტიურად ვცდილობთ, რომ ჩვენი წვლილი შევიტანოთ საქართველოს განვითარებაში. პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება უმაღლეს დონეზე, პრეზიდენტისა და უშიშროების საბჭოს მიერ ხდება, შემდგომში ამ გადაწყვეტილებებს სახელმწიფო დეპარტამენტი, ევროპული დეპარტამენტის ბიურო და შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) ახორციელებენ. ჩვენ ჩვენი შედეგულებები გვაქვს და ვცდილობთ, ეს დადგენილი პოლიტიკის ფარგლებში ავსახოთ.

- დაბოლოს, რა როლი ითამაშა საქართველოში მუშაობის პერიოდში თქვენს დიპლომატიურ კარიერაში?

- მე და ჩემი მეუღლე ძალზედ კმაყოფილები ვართ იმ პერიოდით, რომელიც საქართველოში გავატარეთ. რომ არ ვისაუბროთ ოფიციალურ ღონისძიებებზე, ჩვენ ბევრი ქართველი მეგობარი შევიძინეთ და როგორც ჩვენ ქართველ მეგობრებს ვეუბნებით, აუცილებლად ჩამოვალთ მათთან და ისინიც გვესტუმრებიან. საქართველომ და ქართველებმა მეგობრებმა განსაკუთრებული ადგილი დაიკავეს ჩვენს გულში.

საქართველო ოქანის მიღმა

ტრონტოს უნივერსიტეტში მზია ლეკვიშვილის ფოტოგამოფენა მიმდინარეობს

ნა ვაკაძე

ფოტოპარატის ობიექტივის გასწვრივ, ლილაკის ერთი დანკაპუნება, თვალი, ემოცია, შინაგანი სიღრმე და შეგიძლია ახალი ამბავი მოყვე, ისტორია შექმნა, უცხო ადამიანს გაეცნო, დაიხლოვო, საკუთარი მიაღებინო... სწორედ ასე მოხდა ფოტოგრაფ მზია ლეკვიშვილის შემთხვევაშიც, რომელს ფოტონამუშევრების გამოფენა შორეულ ქვეყანაში - ტრონტოს უნივერსიტეტში ამ წუთებშიც გრძელდება. თვითოეული კადრი კი საქართველოს ისტორიის შედეგებს, დღევანდლობას, ზოგად ყოფას აღწერს.

მზია ლეკვიშვილმა ფოტოხელოვნებას რამდენიმე წლის წინ მოჰკიდა ხელი, ტრონტოს უნივერსიტეტში გამართული გამოფენა კი მისი ჯერჯერობით ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევაა. იგი სისტემატურად მონაწილეობს სხვადასხვა ფოტო საიტის მიერ ორგანიზებულ ჯგუფურ გამოფენებში, მონაწილეობდა ბათუმში გამართულ უნარ-შეზღუდული ბავშვებისადმი მიძღვნილ გამოფენაში. მზია ლეკვიშვილი საკუთარ თავს ფოტომოყვარულს უწოდებს, თუმცა თუ მის ნამუშევრებს გადაავლებთ თვალს, აუცილებლად აღმოაჩენთ ხელოვნებასაც - იმ ნამიერ სიზუსტეს, რომელიც კადრზე ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვან ანაბეჭდს ტოვებს.

მზია ლეკვიშვილი: "ძალიან მაინტერესებს სოციალური თემატიკა. მართალია ამ უნარში დღეს ბევრი ფოტოგრაფი მუშაობს, რადგან მასალა ულევია, მაინც ვცდილობ განსაკუთრებული ხედე გამოვიჩინო და ჩემი ფოტოების გმირების განსხვავებული ხასიათი დავაფიქსირო. ქუჩა უამრავ მასალას იტევს, ასევე ხშირად დავდივარ უნარშეზღუდულ ბავშვთა სახლებში, ვრცელი სერია მაქვს გაკეთებული თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატში. ამ ბავშვების უსინათლო მზერაში ტკივილისა და დარდის მიღმა დიდი სიყვარულის, სიბოროსა და რწმენის აღმოჩენა შეიძლება. მათი ფოტოგრაფირებისას მეც ნამიერად მათნაირი ვხდები, თითქოს მათ კანს ვირგებ, მათი თვალებით ვუყურებ სამყაროს, რაც ალბათ ჩემს ფოტოებშიც ჩანს."

ტრონტოს უნივერსიტეტის საგამოფენო დარბაზში ამჟამად მზიას მიერ რელიგიურ თემაზე გადაღებული ფოტოები გამოფენილია - მართლმადიდებელი ეკლესია, სინაგოგა, მეჩეთი. აღწერილია მათი თანარსებობა ერთ ქალაქში, ერთ დროსა და სივრცეში, რაც უცხოელი დამთვალიერებლისთვის განსაკუთრებით საინტერესო და უჩვეულო აღმოჩნდა. გამოფენის ორგანიზატორი და კურატორი ამავე უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მაგისტრანტი გიორგი ნიკოლაძეა, რომელმაც ქართველ ფოტოგრაფს ინტერნეტით მიაგნო.

გიორგი ნიკოლაძისა და ტრონტოს უნივერსიტეტის კავკასიელი სტუდენტების ინიციატივით შარშან, საქართველო-რუსეთის ომის შემდეგ, კავკასიური სახლი დაარსდა. აღმოჩნდა, რომ ამის აუცილებლობა ნამდვილად არსებობდა - კანადელი ბიზნესის კავკასია, მათ შორის საქართველო, პრაქტიკულად უცნობ გეოგრაფიულ ტერიტორიას წარმოადგენს. ერთი წლის განმავ-



ლობაში სტუდენტების მიერ შექმნილმა ორგანიზაციამ რამდენიმე ღონისძიების გამართვა მოახერხა, მათ შორისაა მზია ლეკვიშვილის ფოტოგამოფენაც.

გიორგი ნიკოლაძე: "ჩემმა თბილისში მცხოვრებმა ნათესავმა იცოდა, რომ მსგავს ღონისძიებას ვეგეგმავდი, მზიას შესახებ სწორედ მან მომიტორო და მისი ფოტოებიც მაჩვენა. მზიას ნამუშევრები სწორედ იმ თემატიკის აღმოჩენაა, რომელიც მხრითაც უცხოელები პრაქტიკულად არ გვიცნობენ. მათ ჰქონიათ, რომ საქართველოში მხოლოდ ეთნიკურ ნიადაგზე აღმოცენებული დაპირისპირებები ხდება, რომ ეთნიკური ქართველები დევნიან ყველა არაქართველს. მზიას ფოტოებში კი ჩანს, რომ აქ არა თუ ეთნიკური, არამედ რელიგიური დაპირისპირებაც არ არსებობს, რომ საქართველოში მცხოვრები შიიტები და სუნიტები ერთ მეჩეთში ლოცულობენ, რომ მეჩეთის გვერდით სინაგოგა და ებრაელებსა და მუსლიმებს შორის დაპირისპირება არ არსებობს."

ეთნიკური ქართველების ტოლერანტულ განწყობაზე მზია ლეკვიშვილის პირადი დამოკიდებულება მეტყველებს. ფოტოგრაფი ერთნაირ ყურადღებას უთმობს მართლმადიდებელ სალოცავსა თუ მეჩეთში მომლოცველ ადამიანებს, ცდილობს საკუთარი თვალისა და ცხადია

დამთვალეობის ყურადღების ქვეშ მოაქციოს ყველაზე სახასიათო ნიუანსები. იხსენებს მეჩეთში გადაღებულსაც: "თავიდან არ მიშვებდნენ, რადგან მეჩეთში ღვთისმსახურება უკვე დაწყებული იყო. ბოლოს მოლაშენებამ დამითო მეჩეთის შიდა აივანზე ავსულყავი, სადაც როგორც წესი ქალების ადგილია. თავშალი მოვიხვიე და კიბეს აუყუყუე, გზადაგზა კი მოლას ხმა ჩამესმოდა, რაც ემოციურად მტვირთავდა. ცდილობდი არ მეხმაურა და მათი სიმშვიდე არ დამერღვია. ვფიქრობ, საინტერესო ფოტოსესია გამოვიდა."

ტრონტოს უნივერსიტეტში გამოფენის გახსნის მისია ცხადია გიორგი ნიკოლაძეს დაეკისრა. ის იხსენებს, რომ ფოტოების წარდგენა ცალ-ცალკე უნებდა, თვითოეულ ნამუშევარზე დიდ ხნის განმავლობაში საუბრობდა, რადგან ადგილობრივი დამთვალეობისთვის ოდნავ გაურკვეველი იყო ქრისტიანებისა და მუსლიმების ასეთი უმტკივნეულო თანაცხოვრება.

გიორგი ნიკოლაძე კანადაში ქართული სათვისტომოს დაარსება სურს, თუმცა იქ მცხოვრები ათასამდე ქართული ოჯახის მხრიდან ინიციატივას ვერ ხედავს. "თუ ძლიერი სათვისტომო იქნება, კანადელები ჩვენს შესახებ უფრო მეტს გაიგებენ. თუმცა მე მაინც ვცდილობ, ყველა

მნიშვნელოვანი მოვლენა მათ ყურამდე და გონებამდე მივიტანო. მაგალითად, შარშანდელი ომის შემდეგ მოხსენებით გამოვედი კანადის პარლამენტში და ვეცადე სრულყოფილად ამეღწერა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ისტორია. აპრილში ჩავატარე დიდი კონფერენცია კავკასიის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ საკითხებზე. ამერიკიდან მოვიწვიე ქართველთა, რომლებიც ლექცია ნაიკითა აზერბაიჯანზე, გროზნოს უნივერსიტეტიდან ჩამოსულმა პროფესორმა მოხსენება მოამზადა ჩვენთვის ომზე რუსეთთან, ასევე ჩვენთვის ეთნოგრაფიაზე. მე კი გავაკეთე მოხსენება საქართველოზე. დიალოგისთვის საუკეთესო ფორმა კი კულტურაა, ამ დიალოგზე სომეხი და ზერბაიჯანელი სტუდენტებიც უმტკივნეულოდ მოდიან. ასეთ დროს მათთვის იშლება პოლიტიკური საზღვრები და წინ სხვა დამოკიდებულება გამოადის", - ამბობს გიორგი ნიკოლაძე.

მზია ლეკვიშვილი კი ტრონტოს უნივერსიტეტში დავებში ახალი გამოფენისთვის ემზადება. ოქტომბერში გამოფენა უნივერსიტეტის მთავარ საგამოფენო დარბაზში გაიხსნება და გაცილებით მრავალფეროვან თემატიკას მოიცავს.

ერთობლივი პროექტის პრეზენტაცია

გუმინ, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის კულტურული მემკვიდრეობის ფონდის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტების პრეზენტაცია მოეწყო.

აღსანიშნავია, რომ 2005-09 წლების პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულყოფილი ელჩის, ჯონ ტეფტის უშუალო მხარდაჭერით საქართველოს ეროვნულ მუზეუმში არაერთი პროექტი განხორციელდა, როგორც კულტურული მემკვიდრეობის რესტავრაცია-კონსერვაციის, ასევე ინტერ-კულტურული და საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებით.

ბატონი ჯონ ტეფტი საქართველოში მოღვაწეობას წელს ასრულებს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნულ მუზეუმმა მოაწყო მოკლე პრეზენტაცია იმ პროექტებისა, რომლებიც უკვე წარმატებით განხორციელდა. უფრო ვრცლად ისაუბრეს პროექტზე, რომელიც ახლახანს დაიწყო და ეროვნულ მუზეუმის სვანეთის მუზეუმში დაცული ხატებისა და ხელნაწერების კონსერვაციასა და დიგიტალიზაციას ითვალისწინებს.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში წარმოადგინეს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის კულტურული მემკვიდრეობის ფონდის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტების ვიზუალური მასალა - ხოვლეს ხეობაში მოპოვებული უნიკალური არქეოლოგიური ნივთები, საეკლესიო ნაქარგობის აღდგენა-კონსერვაციის პროექტის ფარგლებში გამოცემული კატალოგი, გარეჯის სამონასტრო კომპლექსის თეთრი უდაბნოს ფრესკების რესტავრაციის ამსახველი ფოტო-მასალა. "24 საათი"

ოპერისა და ბალეტის თეატრი 158-ე სეზონს ხსნის

5 სექტემბერს, 19 საათზე, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი 158-ე თეატრალურ სეზონს გახსნის.

მრავალწლიანი ტრადიცია არც ამჯერად დაირღვევა და მსმენელს კიდევ ერთხელ მიეცემა საშუალება სეზონის პირველ სპექტაკლს, ქართულ კლასიკურ ოპერას, ზაქარია ფალიაშვილის "აბესალომ და ეთერს" (დამდგმელი დირიჟორი - ჯანსუკ კახიძე, რეჟისორი - მიხეილ თუმანიშვილი, მხატვარი - გიორგი ალექსი-მესხიშვილი, ქორეოგრაფი - ილიკო სუხიშვილი) მოუსმინოს.

სპექტაკლში მონაწილეობენ სოლისტები: თეიმურაზ გუგუშვილი, ხათუნა ჭოხონელიძე, სულხან გველესიანი, ნინო ჩაჩუა, ირინე ალექსიძე, ომარ ხოფერია, თამაზ საგინაძე, ნუგზარ გელაშვილი, მზია დავითაშვილი, გივი ფეიქრიშვილი, თეატრის გუნდი (მთავარი ქორმალისტერი - ავთანდილ ჩხენკელი, ქორმალისტერი - შალვა შაორშიძე) და ორკესტრი. "აბესალომ და ეთერს" თამაზ ჯაფარიძე უდირიჟორებს.

სექტემბერში, ასევე, წარმოდგენილი იქნება ოპერები: ზაქარია ფალიაშვილის "დაისი" (10 სექტემბერი), ვიქტორ დოლიძის "ქეთო და კოტე" (13 სექტემბერი) და ლუდვიგ მინკუსის ბალეტი "ღონ კიბოტი" (19 სექტემბერი). "24 საათი"

პატრიოტთა ბანაკების პროგრამა გორში დასრულდა

გუმინ, 31 აგვისტოს, გორში პატრიოტთა ბანაკების პროგრამა დასრულდა. "პატრიოტების" პროგრამით წელს გორის მუნიციპალიტეტის 100 ახალგაზრდა ვარციხისა და საგარეჯოს ბანაკებში ისვენებდა. მათი გამგზავრება 4 ნაკადად მოეწყო. გორიდან "პატრიოტთა" პირველი ნაკადი ვარციხის ბანაკსკენ 30 ივნისს გაემგზავრა. ვარციხეში სულ 75-მა ახალგაზრდამ დაისვენა, 25-მა სტუდენტმა კი, საგარეჯოს ბანაკში დასვენებით ისარგებლა.

ბანაკებისთვის პატრიოტთა შერჩევა გარკვეული კატეგორიის მიხედვით მოხდა. კერძოდ, უპირატესობა მიენიჭება 18 წლის და მეტი ასაკის მქონე წარჩინებულებს, სპორტსმენებსა და მუქიმედ სტუდენტებს. რაც შეეხება ლიახვის ხეობიდან დევნილებს, რომელთა დიდი ნაწილი დღევანდლის გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრობს, მათთვის პროგრამა ლიახვის ხეობის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს დახმარებით განხორციელდა და ბანაკებში 200-მდე დევნილი ახალგაზრდა გაემგზავრა.

"პატრიოტთა" ტრანსპორტირების ხარჯები გორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გაიღო, ამისათვის გამგეობის ბიუჯეტიდან 2530 ლარი გამოიყო. პატრიოტთა დასვენების ხარჯები კი, ახალგაზრდულმა დეპარტამენტმა დაფარა. "ჯი-ჯი-ენი"

ახალი ტაძარი სვანეთში

სვანეთს კიდევ ერთი ტაძარი შეემატა. წმინდა ნიკოლოზის სახელობის ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესია მესტიის საეპარქიო რეზიდენციის მიმდებარე ტერიტორიაზე 11 თვეში აშენდა.

მშენებლობისთვის საჭირო თანხები მთლიანად სვანეთის მკვიდრმა, დროებით ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრებმა ემზარ ჯაფარიძემ გაიღო. წმინდა ნიკოლოზის ტაძარი სვანეთის ეპარქიის მმართველმა, მეუფე ილარიონმა გახსნა, ტაძრის კურთხევასა და პირველ წირვაში მონაწილეობა სვანეთში სტუმრად მყოფმა ურბნისისა და რუისის ეპარქიის მმართველმა და მთლიანის ეპისკოპოსმა მიიღეს. ტაძრის გახსნას, ადგილობრივი მრევლის გარდა, უამრავი სტუმარი დაესწრო, მათ შორის, არაერთი უცხოელი ტურისტი.

აღსანიშნავია, რომ მეტისის ცენტრში მეუფე ილარიონი კიდევ ერთ ტაძარს აშენებს - ილარიონ ქართველის სახელობის ეკლესია მომავალი წლისთვის დასრულდება. "ინტერპრესნიუსი"

საუკეთესო გიტარისტების უხვირო რეიტინგი

ჟურნალ Time-ის რეიტინგმა მკითხველის უკმაყოფილება გამოიწვია

უხვირო რეიტინგის აღიარება

მეორე მსოფლიო ომის პერიოდის ლეგენდარული მომღერალი - ვერა ლინი, ბრუტანეთის იმპერიის ორდენის კავალერი, ყველაზე პოპულარულთა ჩამონათვალში კვლავ შევიდა.

92 წლის მომღერლის საარქივო ჩანაწერების ალბომი ომის დაწყებიდან 70 წლისთავის აღსანიშნავად გამოუშვეს. მისი სახელწოდება "ჩვენ ისევ შევხვდებით" (We'll Meet Again) მომღერლის ყველაზე ცნობილი სიმღერის სახელწოდებიდან არის აღებული. ამ კომპოზიციის ავტორები არიან: პოს პარკერი (მუსიკის ავტორი) და ჰიუ ჩ ჩარლზი (ტექსტის ავტორი). ის 1939 წელს დაინერა და ცნობილი სწორედ ვერა ლინის შესრულებით გახდა. აღსანიშნავია, რომ ამ სიმღერას მოგვიანებით ასრულებდნენ ისეთი ცნობილი შემსრულებლები, როგორებიც არიან: ფრენკ სინატრა, ჯონ კეში, ბარი მანილოუ, ჯგუფი The Byrds და ა.შ. ხოლო ციტატები ამ სიმღერის ტექსტიდან თავიანთ ალბომებში გამოყენა Pink Floyd-მა და The Beatles-მა.

"მე უსაშველოს ბედნიერი ვარ და აღელვებული იმით, რომ ამდენი წლის შემდეგ პოპულარულ შემსრულებელთა სიაში ისევ აღმოჩნდი", - თქვა ვერა ლინმა. ამ ფაქტთან დაკავშირებით ხმის ჩამწერი სტუდიის, სახელწოდებით Decca, წარმომადგენელმა განაცხადა: "მან დაამტკიცა, რომ იმ პერიოდისა და იმ ეპოქის მუსიკა დღემდე ჰპოვებს გამოძახილს ბრიტანული საზოგადოების გულში".

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ უკანასკნელი კვირის ყველაზე პოპულარული ფირფიტების ჩამონათვალში მაიკლ ჯექსონის ოთხი ალბომიც მოხვდა. გასულ კვირას, ანუ იმ დღეს, როდესაც ჰიპ-ჰა-რადის შედეგები გამოცხადდა, მას დაბადებიდან 51 წელი შეუსრულდებოდა.

უხვირო რეიტინგის აღიარება

ბრუტანული პოლიცია თავიდან შეისწავლის "როლინგ სთოუნზის" ჯგუფის დამარსებელთაგან ერთ-ერთის, ბრაიან ჯონსის სიკვდილის გარემოებებს.

1969 წლის 3 ივლისს ჯონსი სოფელში, ინგლისის საგრაფო სუსეკში განთავსებული საკუთარი სახლის ბასეინში გარდაცვლილი იპოვეს. პოლიციელებმა მისი დახრჩობა უხვირო შემთხვევას დაუკავშირეს. თუმცა, მას შემდეგ ამდენი წელი გავიდა და დღემდე არ შეწყვეტილა ხმები იმასთან დაკავშირებით, რომ მუსიკოსი კი არ დაიხრჩო, სინამდვილესი ის მოკლეს.

გასულ კვირას სუსეკის პოლიციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პოლიციელებმა მოიპოვეს ახალი დოკუმენტაცია, რომელიც ჯონსის სიკვდილთან არის დაკავშირებული. აი, ამ ფაქტმა განსაზღვრა გადანყვებულება იმის შესახებ, რომ ეს საქმე თავიდან შეისწავლათ. თუმცა, ამის პარალელურად, პოლიციის წარმომადგენლები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ რთულია მსკელობა იმაზე, დაიწყება თუ არა ახალი გამოძიება. "სისეკის პოლიცია ახალ დოკუმენტებს შეისწავლის, მაგრამ ჯერ ნაადრევია იმაზე მსჯელობა თუ რა შედეგებამდე მივყავართ ეს", - განაცხადეს პოლიციელებმა.

ბრაიან ჯონსი იყო "როლინგ სთოუნზის" ჯგუფის ერთ-ერთი დამარსებელი. თუმცა, მან ეს მუსიკალური გაერთიანება სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე დატოვა. მისი თანამედროვეების მოგონებების თანახმად, კოლეგებთან მისი დაპირისპირებისა და კონფლიქტის მთავარი მიზეზი იყო ის, რომ მან ჰალუცინაციების გამოწვევით პრეპარატებს პროფესიული მუსიკალური კარიერა ვერ შეუთავსა. აღსანიშნავია, რომ 27 წლის ჯონსის გარდაცვალება 1960-იანი წლების როკ-ვარკვლავების სიკვდილთა თანრიგში პირველი იყო.

ვიკინგების საუნჯე ბრიტანეთში

იორკის ხეობის საუნჯე (Vale of York road), უმდიდრესი საგანძობი, რომელიც ვიკინგებმა დაახლოებით 927 წელს დაფლეს, ბრიტანეთის მუზეუმმა და იორკის მუზეუმების ფონდმა მოყვარული-არქეოლოგებისგან გამოიხსიდა. ამ უკანასკნელებმა ის 2007 წელს აღმოაჩინეს. როგორც გაზეთი The Guardian-ი იტყობინება, აღნიშნული საგანძობი 1,08 მილიონ ფუნტ სტერლინგად შეაფასეს. გამოასახიდა თანხიდან, დაახლოებით, ორასი ათასი ფუნტი კერძო პირებმა გაიღეს, ხოლო დანარჩენი სახსრები სახელმწიფო სამსახურებმა გაიმეტეს.

რისგან შედგება საუნჯე? 617 მონეტისგან და ჩამოსხმული ვერცხლისგან, რომელიც, სავარაუდოდ, ფრანგული წარმოშობისაა. საგანძობი გადასახლეს იმ დროს, როდესაც მეფე ეტელსტანმა დაიპყრო ის მიწები, რომლებიც ინგლისის ცრდილოეთ-აღმოსავლეთით სწორედ ვიკინგებს ეკავათ.

დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე მოცულობით ამაზე დიდი საგანძობი უკანასკნელად 1840 წელს, ლანკაშირის საგრაფოში აღმოაჩინეს - ის რვა ათასზე მეტი საგნისგან შედგებოდა.

რამდენიმე დღის წინ ჟურნალ Time-ის მიერ გამოქვეყნებულმა მორიგმა რეიტინგმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. საქმე ისაა, რომ ჟურნალის მუსიკალურ გვერდზე ყველა დროის საუკეთესო ელექტრო გიტარისტების 11-ეული გამოქვეყნდა, მკითხველმა კი მასში რამდენიმე ძალიან ცნობილი გიტარისტის გვარი ვერ ამოიკითხა. ამის გამო ჟურნალის კულტურის განყოფილების რედაქტორს განმარტების გაკეთებაც დასჭირდა, რომელმაც განაცხადა, რომ რეიტინგი კონკრეტული სპეციალისტების გამოვლენითაა შედგენილი, რაც ნიშნავს, რომ მის მიღმა მკითხველის საყვარელი გიტარისტების დარჩენა სრულიად ბუნებრივი იყო.

სკანდალი განაპირობა იმანაც, რომ თავდაპირველად დაგეგმილი ათეულის ნაცვლად, 11 გიტარისტისგან შემდგარი რეიტინგი გამოქვეყნდა. ამან დაბადა ეჭვი, რომ მეთერთმეტე მუსიკოსი მეტად სუბიექტური მიზეზით იყო დამატებული. ან სულაც, თუ მეთერთმეტეს ამატებდნენ, ხომ შეიძლებოდა ჩამონათვალი კიდევ გაეზარდა. თუმცა რეიტინგი უკვე შედგენილია და მის განსაზღვრებას არ არ აქვს. ხოლო ვინც მის შედეგებს არ ემხრობა, შეუძლია სხვა გამოცემების რეიტინგებს მიენდოს.

Time-ის რეიტინგს ჯიმი ჰენდრიქსი ლიდერობს. ამ არჩევანის მიმართ პრეტენზია ცხადია არაფერს აქვს, რადგან მსოფლიოში არ არსებობს გიტარისტების რეიტინგი, რომლის სათავეშიც ამ მუსიკოსის გვარს ვერ ამოიკითხავთ. ის რომ ჰენდრიქსი გენიოსი იყო, მის სიცოცხლეშივე



ითქვა და დადასტურდა კიდევ. მას ხან არანორმალურს ეძახდნენ, ხან გიტარის ღმერთს, სინამდვილეში კი ჯიმი ჰენდრიქსი უბრალოდ ვირტუოზი იყო, თავისი საქმის გენიოსი. შესანიშნავად შეეძლო გიტარაზე დაკვრის ტექნიკისა და მუსიკალური გემოვნების სინთეზირება, რასაც მსმენელი სრულ ექსტაზამდე მიჰყავდა. იგივე ემართებოდა თავად ჰენდრიქსსაც - მუსიკით შეყვრობილი გიტარისტი პირდაპირ სცენაზე თითქოს ტრანსში ვარდებოდა და ბოლომდე ეძლეოდა მუსიკას. სამწუხაროდ მისი სიცოცხლე, ისევე როგორც მუსიკალური კარიერა მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა - იგი 27 წლის ასაკში გარდაიცვალა.

რეიტინგის მეორე ადგილზე Guns'n'Roses-ის ყოფილი წევრი სლემი გავიდა. ჟურნალის მკითხველის ყველაზე დიდი აღ-

ფოთება სწორედ ამან გამოიწვია - უბრალოდ ძნელი წარმოადგენია, რომ ჰენდრიქსის შემდეგ საუკეთესო გიტარისტი სწორედ სლემია. აღშფოთებას ისიც ამძაფრებდა, რომ მისი კანდიდატურის გვერდით მიწერილ ანოტაციაში თავზედურად ეწერა, რომ რეიტინგის მეორე ადგილზე თავისი ექსტრავაგანტული გარეგნობის, უფრო კი შლაპების სიყვარულის გამო მოხვდა. დავითანხმეთ, აღშფოთებისთვის სრულიად საკმარისი მიზეზია, მით უმეტეს, რომ მის შემდეგ საუკეთესო თვით ბიბი კინგი მოხვდა - მუსიკოსი, რომელზეც შემდეგს წერდნენ: "ბი ბი კინგის გიტარა ისევე ჟღერს, როგორც ქალის ხმა ბლუზის შესრულებისას".

"მან ყველაზე მეტი დასამახსოვრებელი გიტარის სოლო პარტია დაწერა" - ასეთია "როლინგ-სთოუნზის" კიტ რიჩარდსის შე-

ფასება. თუმცა ალბათ ვიზობა, ყველა დროის საუკეთესო გიტარისტების რეიტინგი სხვა კრიტერიუმებით შეფასებინათ და საუკეთესო სამეულში მოხვედრის ამკარა კანდიდატი, ერიკ კლაპტონი მხოლოდ მეხუთე არ ყოფილიყო. მან მეხუთე ადგილის გარდა შეფასებაც მიიღო: "ყველაზე მელოდიური გიტარისტი".

მხოლოდ მეექვსეა ჯიმი პეიჯი, თუმცა ამ რეიტინგის ავტორებს ამაზეც მაღლობა უნდა ვუთხრათ. ლეგენდარული "ლედ ზეპელინის" გიტარისტი ნამდვილად იმსახურებდა მეტ დაფასებას, რადგან ჯიმი ჰენდრიქსის შემდეგ ელექტრო გიტარის მოთვინიერება საუკეთესოდ ალბათ მან შეძლო. რეიტინგის შემდეგ საფეხურებზე ჩაკ ბერი, ლეს პოლი, ინგი მალმსტინი და გაგიკ-ვირდებთან და პრინცი მოხვდნენ. მეთერთმეტე, დამატებული ადგილი კი ჯგუფ "რამონეს" გიტარისტ ჯონი რამონს ერგო.

ვინ დარჩა Time-ის რეიტინგს მიღმა? საკმაოდ ბევრი. თუ ჟურნალ "როლინგ სთოუნის" რეიტინგს გადავხედავთ, საკმაოდ ბევრ "დაჩაგრულს" აღმოვაჩინეთ. მაგალითად სტივ ვაისი, ან ჯო სატრიანის, რომლებმაც საგიტარო ხელოვნება ახალ სიმაღლეებამდე აიყვანეს და ეს ინსტრუმენტი თანამედროვე მუსიკის სიმბოლოდ აქციეს. ყველა დროის გიტარისტების რეიტინგს მიღმა არ უნდა დარჩენილიყო არც "ვან ჰალენის" ედი ვან ჰალენი და არც "ქუინსი" ბრაიან მკი. ალარაფერს ვამბობთ ჯონ მაგალიფინზე, ჯო სატრიანზე ან სულაც "რედ ჰოთ ჩილი პეპერსის" გიტარისტ ჯო ფრუშანტზე.

ძალადობრივი სიკვდილის მსხვერპლი

"მაიკლ ჯექსონის სიკვდილი კვალიფიცირებულია, როგორც ძალადობრივი და ის ტკივილგამაყუჩებლებით გამოწვეული ინტოქსიკაციის შედეგია", - ამას გამომძიებლები აცხადებენ.

მომღერლის სხეულის გაკვეთისას აღმოაჩინეს "კოქტეილი", რომელიც ექვსი პრეპარატისგან, მათ შორის, მიდაზოლისგან, დიაზეპამისგან, ლიდოკაინისგან, ლორაზეპამისგან და ეფედრინისგან, შედგებოდა. ადრევე გახდა ცნობილი, რომ ექსპერტებმა ჯექსონის სისხლში სასიკვდილო დოზის ძლიერმოქმედი პროპოფოლი აღმოაჩინეს. სააგენტო "რეიტერისთვის" მიცემულ ინტერვიუში ცნობილმა ლოს ანჯელესელმა იურისტმა როიალ ოუკსმა განმარტა, რომ ტერმინი "ძალადობრივი სიკვდილი" უპირობოდ არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი მოკლეს. "თავად ის ფაქტი, რომ გამოძიებულმა კვალიფიცირება მოახდინა სიკვდილის, როგორც ძალადობრივის, ნიშნავს იმას, რომ მისი აზრით ამ სიკვდილთან დაკავშირებული იყო სხვა ადამიანი, - აღნიშნავს ექსპერტი. - სამხარეო პროკურორმა უნდა გადაწყვიტოს, ეს ნინასნარ განზრახული მკვლელობა იყო თუ კიდევ რაღაც სხვა დანაშაული".

"პოპ-მუსიკის მეფის" პირადმა ექიმმა, კონრად მარეა, რომელიც პოლიციამ უკვე ორჯერ დაკითხა და რომლის ოფისსა და ბინაშიც ჩხრეკა ადრევე ჩატარდა, აღიარა, რომ სიკვდილის დღეს



მომღერალს რამდენიმე პრეპარატი მისცა, მათ შორის, 25 მილიგრამიანი პროპოფოლი. ექიმმა განაცხადა, რომ აღნიშნულ პრეპარატს იყენებდა, როგორც უძილობის საწინააღმდეგოს. ამავე დროს, მარეას სიტყვებით, ის შიშობდა, რომ პაციენტი ამ პრეპარატზე დამოკიდებული არ გამხდარიყო და ამიტომაც მას პფოპოფოლს შემცირებული დოზით აძლევდა.

ამ დროისათვის პოლიცია

ცილობს დაადგინოს რამდენად მონაწილეობდა კონრად მარეა მაიკლ ჯექსონის განზრახ მკვლელობაში. ამასთანავე, იკვლევენ მომღერლის კავშირს მინიმუმ 6 სხვა ექიმთან.

თუ მსგავს ბრალდებას მარეას მაინც წაუყენებენ, მაშინ პროკურორმა ექიმის დანაშაული უნდა დაამტკიცოს. თუ ის დანაშაულს ვერ სცნის, კონრად მარეა ციხეში ოთხ წელს გაატარებს. ბი-ბი-სი-ს ლოს ანჯელესის კორესპო-

დენტი აღნიშნავს, რომ ჯექსონის სახლში პროპოფოლის რამდენიმე შეკვრა აღმოაჩინეს. ამასთან, ის განსხვავებული ექიმების მიერ იყო გამოწერილი. სააგენტო "რეიტერის" მონაცემებზე დაყრდნობით კი, გამოძიებები მზად არიან პროკურატურას გადასცენ საქმეები კონკრეტული პირებისათვის ბრალდების წასაყენებლად.

ჯექსონის გარდაცვალების დეტალებს და იმას, თუ რამდენად მიუძღვით მის სიკვდილში ექიმებს წვლილი, გამოძიება დაადგენს. საბოლოოდ დასკვნის გამოტანამდე კი, "პოპ-მუსიკის მეფის" თავყანისმცემლები მისი სსოვნის საპატივსაცემოდ არაერთ ინიციატივას ახორციელებენ. მაგალითად, გასულ შაბათ-კვირას მაიკლ ჯექსონის თავყანისმცემლებმა (მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან) მომღერლის დაბადებიდან 51 წლისთავი უჩვეულოდ აღნიშნეს. ამ დღეს მეხიკოში, რეველუციის ძეგლთან ათასი ადამიანი იმისათვის შეიკრიბა, რომ მსოფლიო რეკორდი დაემყარებინათ იმ მოცეკვავეთა რაოდენობის თვალსაზრისით, რომლებიც ერთდროულად აკეთებდნენ ჯექსონის მოძრაობის იმიტაციას მისი ცნობილი კლიპიდან, სახელწოდებით Thriller.

სხვადასხვა კონტინენტზე მცხოვრები "პოპ-მუსიკის მეფის" ფანები რაც შეეხებათ, იმ დღეს მათ ასეთი ამბიციური მიზანი არ დაუსახავთ: ისინი მხოლოდ ცეკვავდნენ...

ტორინოზინი პირველობს



ტორინოზინს კარიერის საუკეთესო მაჩვენებელი აქვს

13-დან 27 სექტემბრამდე იაპონიაში სუმოს მორიგი სუპერ-ტურნირი გაიმართება. გუშინ სუმოს საერთაშორისო ფედერაციამ გამოაცხადა ელიტური მაკუჩი დივიზიონის რეიტინგი (ბანძუკე), რასაც სპორტის ქართველი გულშემმატკივრები დიდი ინტერესით ველოდით. როგორც გახსოვთ, ივლისის ბაშოზე წარმატებით იასპარეზა ლევან გორგაძემ

(ტორინოზინი) და ის რეიტინგში ზედა ეშელონში უნდა გადასულიყო. ასეც მოხდა: სექტემბრის ბაშოს ტორინოზინი აღმოსავლეთის პირველი მაიგაშირას რანგში შეხვდება. გორგაძისთვის ეს კარიერის საუკეთესო მაჩვენებელია. თუმცა, რეიტინგში დანინაურება გაცილებით ადვილია, ვიდრე ამ რეიტინგის შენარჩუნება. საქმე ის არის, რომ ბანძუკეში

აღმოსავლეთი	იოკოჰუნა	დასავლეთი
პაკუჰო	იოკოჰუნა	ასოშორიუ
კოტოჰუ	ოძეკი	კოტომისუკი
პარუმეფუჯი	ოძეკი	კაიო
ჩიოტაიკაი	ოძეკი	-
კისენოსატო	სეკივაკე	კოტოშოგიკუ
ბარუტო	ეომოსუბი	ამინაშიკი
ტორინოზინი	1 მაიგაშირა	მიაბაიმა
შოტენერო	მე-2 მაიგაშირა	კუკუტენო
ტამანოშიმა	მე-3 მაიგაშირა	კაკურუ
ტორინოშიმა	მე-4 მაიგაშირა	ტოკიტენუკი
გოედო	მე-5 მაიგაშირა	ტაკეკაზე
ასასეკირუ	მე-6 მაიგაშირა	ჰომაჰო
არანი	მე-7 მაიგაშირა	ტაკამისაკირი
ივაკიამა	მე-8 მაიგაშირა	შიმოტორი
მოკონამი	მე-9 მაიგაშირა	ტოჩიბიკი
ტოსაუტაკა	მე-10 მაიგაშირა	ბუშუიამა
კაკიზოე	მე-11 მაიგაშირა	კასუგაო
ტოჩიოზანი	მე-12 მაიგაშირა	ტორინონადა
ტამაასუკა	მე-13 მაიგაშირა	ვაკენოსატო
კოკაი	მე-14 მაიგაშირა	ჰოკუტორიკი
იოშიკაზე	მე-15 მაიგაშირა	ფუტენო
მასაკუსაკა	მე-16 მაიგაშირა	-

რაც უფრო მაღალ საფეხურზე დგახარ, ბაშოზე მით უფრო ძლიერი მეტოქეები გყავს. ასე რომ, სექტემბერში ტორინოზინს სუმოს წამყვან ათლეტებთან მოუწევს ჭიდილი და, სავარაუდოდ, ორივე იოკოჰუნასაც შეხვდება.

რაც შეეხება ვეტერან ლევან ცაგურას, როგორც მოსალოდნელი იყო, მან რეიტინგში უკან დაიხია და სექტემბრის ბაშოზე აღმოსავლეთის მეოთხე-მეტე მაიგაშირას რანგში იასპარეზებს.

მარადონამ კაკა აირჩია

5 სექტემბერს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ბრაზილიისა და არგენტინის ნაკრები გუნდები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ამ ორი სამხრეთამერიკული გრანდის თამაში მსოფლიო ფეხბურთის კლასიკად ითვლება და თამაშის მოგება ორივე გუნდისთვის მეტისმეტად პრინციპულია. საუბარია არა სატურნირო მდგომარეობაზე. ეს ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ერთი რიგითი მატჩი.

დიეგო მარადონასთვის ეს პირველი მატჩი იქნება ბრაზილიის ნაკრებთან მწვრთნელის რანგში. ლეგენდარულ არგენტინელს, რომელიც ახლა "ალბისელესტეს" მთავარი მწვრთნელია, ფიფას ოფიციალური ვებგვერდის უზრუნველყოფის სწორედ ბრაზილიურ-არგენტინულ ჭიდილზე ესაუბრა.

მეტისმეტად პრინციპული მატჩი გელით. თქვენი აზრით, ვინ უფრო ახლოსაა გამარჯვებასთან - არგენტინა თუ ბრაზილია?

- ერთი რამ ცხადია: ბრაზილიის ნაკრები ულამაზეს ფეხბურთს თამაშობს. თუმცა ჩვენც გყავს შემადგენლობაში არაერთი ვარსკვლავი. ვინ უფრო ძლიერია? ამ კითხვაზე პასუხი არ არსებობს. ახლა ალბათ ერთი დონის გუნდები ვართ.

შეადარებდით თუ არა ამ შეხვედრას რომელიმე სხვა მატჩს?

- ეს სამხრეთამერიკული დერბია, რომელიც მსოფლიო ფეხბურთის კლასიკად იქცა. ამ მატჩში ფავორიტი არ არსებობს. თუ გავრცელებულია ინფორმაცია, რომ არ ითამაშებს კაკა, ჩვენ არ დავიჯერებთ. ხოლო თუ ჩვენ ვიტყვი, რომ მესი არ ითამაშებს, მეტოქე არ დაიჯერებს.

გავისხენოთ ისტორია. 1982 წელი. ბრაზილია-არგენტინის მატჩი და თქვენი გაძევება...

- ამაზე არაერთხელ მისაუბრია. მაშინ მე ბატისტას გამო არ გავცხარებულვარ. ფალკაომ ანგარიში 3:1 გახადა და ამის შემდეგ სულ დრო გაჰყავდა. ამაზე გავბრაზიდი და მეტოქეს ფეხი ჩავარტყი. როცა დავინახე, რომ ბატისტა მოედანზე დაეცა, მივედი და ბოდიში მოვუხადე.

მას შემდეგ როგორი ურთიერთობა გქონდათ ბატისტასთან?
- საკმაოდ კარგი. მეტიც, დავმეგობრდით. ის "ლაციოში" გადა-



მარადონა ბრაზილიასთან მატჩს ელის

ვიდა და როდესაც დაჯილდოების ცერემონიაზე ან რაიმე ასეთე გვინევადა მისვლა, ყოველთვის გვერდიგვერდ ვისხედით და ვსაუბრობდით. ყოველთვის ვეუბნებოდი, რომ იმ მატჩში მისთვის დარტყმა არ მიხდოდა. დარტყმის დროს ის ფალკაოში ამერია. ამაზე ბევრს ვიცინოდით, რადგან ბატისტა მეუბნებოდა, რომ ის და ფალკაო საერთოდ არ ჰგავდნენ ერთმანეთს. მართალიც იყო, მაგრამ იმ მომენტში არაფრის გარჩევა არ შემეძლო.

პელე ჯობია თუ მარადონა - ეს დავა დიდი ხანია გასცდა ბრაზილიისა და არგენტინის საზღვრებს. თქვენ რას იტყვით?

- რა გითხრათ... ათი წლის განმავლობაში მე ევროპაში ვთამაშობდი, პელე კი მხოლოდ სამხ-

რეთ ამერიკაში გამოდიოდა. პელე უდიდესი ფეხბურთელია და თითქმის ყველა ტიტული მოიგო, რაც არსებობს, მაგრამ ევროპაში თამაში დააკლდა. პელეს გვერდით ჰყავდა კუტინიო და რიველინო, რომლებიც, ჩემი აზრით, საუკეთესო ფეხბურთელთა რიცხვში შედიან. მის გვერდით იყვნენ ჟაიროზინი, კლოდოლდო, გერსონი და ტოსტაო. ისინი შესანიშნავად თამაშობდნენ. ცნობისთვის: როდესაც არჩევანი გულშემმატკივრებზე მიდგა, ხალხმა მე ამირჩია, პელე კი მეორე იყო. გარდა ამისა, ის ბრაზილიელ სპორტსმენებშიც კი ვერ გავიდა პირველ ადგილზე - ავტომობილმა აირტონ სენამ აჯობა.

დავუბრუნდით დღევანდელს. როგორ შეაფასებდით

ბრაზილიის ახლანდელ ნაკრებს, კერძოდ, კოპა ამერიკაზე.

- ბრაზილიას ძალიან კარგი გუნდი ჰყავს. საიმედო დაცვა და, ჩემი აზრით, მსოფლიოს საუკეთესო მეკარე ჰყავთ. ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ მოედანზე მაინც მოსაგებად გავალთ.

დავუშვათ, თქვენს ნაკრებში ერთი ბრაზილიელი უნდა აიყვანოთ. ვისზე შეაჩერებდით არჩევანს?

- კაკაზე. მას მარტოს შეუძლია თამაშის ბედის გადაწყვეტა.

ასეთივე კითხვით დუნგასთვის რომ მიგვემართა და ერთი არგენტინელის არჩევა გვეთხოვა, თქვენი აზრით, რას გვიპასუხებდა?

- ეჭვიც არ მეპარება, ლეო მესის იტყობა.

19 წლამდელები შვეიცარიაში მოემზადებიან

2 და 4 სექტემბერს საქართველოს 19 წლამდელები ნაკრები შვეიცარიის ქალაქ ლუგანოში მასპინძელ თანატოლებთან ორ ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს. გელა შეყილაძის გუნდი შვეიცარიაში დღეს, გამთენიისას გაემგზავრა.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შემდეგი ფეხბურთელები იახლა:

მეკარეები: თორნიკე ნიორაძე (35-ე საფეხბურთო სკოლა), კახა მეშველიანი ("ხვესტაფონი")

მცველები: სოლომონ კვიციანი (თ.სულაქველიძის სახელობის საფეხბურთო აკადემია), თორნიკე კაკუშაძე (ზუგდიდის "ბაია"), ავთანდილ ბრაჭული ("დუშეთი"), ნიკა კვეცივესკირი (ზუგდიდის "ბაია"), დავით კუბლაშვილი (თბილისის "ოლიმპიკი"), დიმიტრი პაჭკორია (ზუგდიდის "ბაია")

ნახევარმცველები: გიორგი დიასამიძე ("ესპერანსა", პორტუგალია), ავთანდილ ებრალიძე ("ხეტაფე", ესპანეთი), პაატა ბალაძე ("მოსკვა", რუსეთი), ალექსანდრე ივანიშვილი ("საჩხერე"), ერეკლე კაჭახიძე (თბილისის "ლოკომოტივი"), ლევან ელიზბარაშვილი ("ნორჩი დინამო"), ლუკა გუგუჩია (ზუგდიდის "ბაია")

თავდამსხმელები: ზურაბ ქურდობაძე (35-ე საფეხბურთო სკოლა), ლაშა ჩაფიძე ("ნორჩი დინამო"), ირაკლი შეყილაძე ("ემპოლი", იტალია).

ლიპიმ შემადგენლობა დაასახელა

5 სექტემბერს საქართველოს ეროვნული ნაკრები 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მორიგ შეხვედრას ჩაატარებს: ჩვენი გუნდი თბილისში მსოფლიო ჩემპიონ იტალიის ნაკრებს უმასპინძლებს.

მეტოქე გუნდის მთავარმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ დაასახელა ის ფეხბურთელები, რომლებიც ეროვნული გუნდის შემადგენლობაში საქართველოს და ბულგარეთის ნაკრებთან წინააღმდეგ სათამაშოდ მოემზადებიან. "სკუადრა აქურა" ბულგარეთს 9 სექტემბერს ტურინში დაუხვდება.

მეკარეები: ჯანლუიჯი ბუფონი ("იუვენტუსი"), მორგან დე სანტისი ("ნაპოლი"), ფედერიკო მარკეტი ("კალიარი")

მცველები: ფაბიო კანავარო ("იუვენტუსი"), ჯორჯო კიელინი ("იუვენტუსი"), ნიკოლა ლეგროტალიე ("იუვენტუსი"), დომენიკო კრიშიტო ("ჯენოა"), ფაბიო გროსო ("ლიონი", საფრანგეთი), დავიდე სანტონი ("ინტერი"), ჯანლუკა ძამბროტა ("მილანი")

ნახევარმცველები: მაურო კამორანეზი ("იუვენტუსი"), კლაუდიო მარკიზიო ("იუვენტუსი"), სიმონე პეპე ("უდინეზე"), გაეტანო დ'აგოსტინო ("უდინეზე"), დანიელე დე როსი ("რომა"), მარკო მარკიონი ("ფიორენტინა"), ანჯელო პალომბო ("სამპდორია"), ანდრეა პირლო ("მილანი")

თავდამსხმელები: ანტონიო დი ნატალე ("უდინეზე"), ალბერტო ჯილარდინო ("ფიორენტინა"), ვინჩენცო იაკუინტა ("იუვენტუსი"), ფაბიო კვალარელა ("ნაპოლი"), ჯუზეპე როსი ("ვილიარეალი", ესპანეთი).

"ბარსა" ამ სეზონში აღარავის იყიდის?

ჟურნალისტებთან საუბარში "ბარსელონას" სპორტულმა დირექტორმა ჩიკი ბეგერისტიანმა სატრანსფერო ბაზრის ანალიზისას განაცხადა: კლუბი არ გამოირცხავს, რომ ფეხბურთელები აღარ დაიმატოს.

"ვარგძელები მუშაობას შესაძლო საუკეთესო გუნდის შენებისთვის. სამწვრთნელო შტაბისგან მიღებული გვაქვს რამდენიმე სახელი, რომელთა შესაძენადაც ვიბრძვით.

რადაც შესაძლებელია და რადაც - არა. სესკის ტრანსფერი გართულებულია და ჩიგრისკის - უფრო მეტად. ფეხბურთელებში, რომელთა შექმნაც გვინდა, ცოტას გადახდა არ მოგვიწევს, რადგან ნამდვილად კარგი შესაძლებლობებით გამოირჩევიან.

არ ვიცი, გყავს თუ არა პატარა რაზმი. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ვენდობით ახალგაზრდა ფეხბურთელებს. თუ ვიფიქრებთ, რომ ძირითადი შემადგენლობისთვის ისინი საკმარისად არ არიან მზად, მაშინ პატარა გუნდი გამოიძიებს. თუ რომელიმე ფეხბურთელი არ მოგვა, ესეც ახალგაზრდა კანტიერანოს დამსახურებაა. რა თქმა უნდა, სულელურ თანხას არ გადავიხდით ვინმეს გადასაბირებლად. ვნახავთ, რა მოხდება მომდევნო ორ კვირაში," - თქვა ბეგერისტიანმა.

სწიგნიერმა "ინტერი" არჩია

მადრიდის "რეალის" მიერ დაწესებული ჰოლანდიის ნაკრების ნახევარმცველი უესლი სწიგნიერი მილანის "ინტერში" გააგრძელებს კარიერას.

"ნერაძურის" ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, რომ მადრიდის "რეალის" ფეხბურთელმა იტალიურ კლუბთან ოთხწლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

სწიგნიერი მადრიდის "რეალში" ამსტერდამის "აიაქსიდან" 2007 წელს გადავიდა.

ოდიკაძე აზერბაიჯანში გააგრძელებს კარიერას

28 წლის ქართველმა ფეხბურთელმა დავით ოდიკაძემ, რომელმაც გასული სეზონი უნგრულ კლუბ "დოი ეტოში" გაატარა, ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა აზერბაიჯანულ კლუბ ბაქოს "ინტერთან". დავით ოდიკაძე გასული სეზონის დასრულების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და ცხინვალის "სპარტაკის" შემადგენლობაში ოთხი მატჩი ჩაატარა.

ქართველი ფეხბურთელი "ინტერის" რიგებში მარტოობას არ იგრძნობს. ბაქოური კლუბის მთავარი მწვრთნელი კახაბერ ცხადაძე, გუნდის ლირსებას კი გიორგი ლომია და კახაბერ მჭავანაძე იცავენ.

ვან დერ ვაარტმა "ბეშიქთაშზე" უარი თქვა

მადრიდის "რეალის" ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა რაფაელ ვან დერ ვაარტმა სტამბულის "ბეშიქთაშს" უარი უთხრა. თურქული კლუბი 26 წლის ფეხბურთელს წელიწადში, ხელფასის სახით, 5 მილიონ ევროს სთავაზობდა, მაგრამ ვან დერ ვაარტმა კლუბის შეცვლა არ ისურვა. გასულ კვირაში ჰოლანდიელმა განაცხადა, რომ მხოლოდ გერმანული ან ინგლისური კლუბების წინადადებებს განიხილავს.

"შევა" მშობლიურ "დინამოში" დაბრუნდა

ბრიტანული მედიის ინფორმაციით, უკრაინის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი ანდრეი შევჩენკო კიევის "დინამოში" დაბრუნდა და კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

უკრაინული გამოცემა "ბლიკის" ინფორმაციით, "დინამომ" შევჩენკო ჩემპიონთა ლიგის განაცხადში უკვე შეიყვანა და ფორვარდი კიეველთა ლირსებას 7-ნომრიანი მაისურით დაიცავს. აქამდე ამ ნომრით თამაშობდა ბრაზილიელი კარლოს კორეა, რომელიც სამშობლოში დაბრუნდა და ერთწლიანი იჯარით "ატლეტიკო მინეიროში" იასპარეზებს.

შევჩენკო, რომლის სატრანსფერო უფლებები ლონდონის "ჩელსის" ეკუთვნოდა, ინგლისელებმა ჩემპიონთა ლიგის განაცხადში არ შეიყვანეს. ამის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ უკრაინელი კლუბს დატოვებდა. შევჩენკოს "ჩელსიდან" შესაძლო წასვლის თაობაზე ინფორმაცია პარასკევს "არისტოკრატთა" თავკაცმა კარლო ანჩელოტიმაც დაადასტურა. საბოლოოდ უკრაინელი აღმოჩნდა მშობლიურ კლუბში, რომელიც მისი უკან დაბრუნების სურვილს არ მალავდა.

Georgia 0-0-0

იაპონია 59 წლის შემდეგ ოქროს გარეშეა



ექვს დღეში შვიდი წონითი კატეგორია და უმეტესად დარჩენილი საქართველოს ძიუდოსტთა ნაკრები - ეს არის ის, რითიც დაგვამახსოვრდება როტერდამის მსოფლიო ჩემპიონატი. და, საერთოდ, ღირს კი, რომ დაგვამახსოვრდეს? ქართულ ძიუდოში დაწყებული ჯანყმა თავისი შედეგი გამოიღო. ფედერაციის ხელმძღვანელობას, მწვრთნელსა და ნაკრების წევრთა შორის არსებული უთანხმოება როტერდამის მსოფლიო ჩემპიონატის წინ მოჩვენებით ზავში გადაიზარდა. და აი, შედეგად: Georgia და მის გასწვრივ გრაფაში ჩაწიკებული ნულები. ერთადერთი, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი, ნესტორ ხერგიანის მეხუთე ადგილია.

ბიბა ბურასაშვილი

გაზაფხულზე განვითარებულ მოვლენებს, როდესაც ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა საბარელომ ფედერაციის ხელმძღვანელობის მხრიდან ზენოლაზე განაცხადა, რასაც მოგვიანებით ნაკრების რამდენიმე წევრის მიერ ბაკურიანული შეკრების თვითნებურად დატოვება და განხეთქილება მოჰყვა, უნდა ვივარაუდოთ, რომ შინ დაბრუნებულ გუნდში წყალი ისევ ამიღვრება. როტერდამის მსოფლიო ჩემპიონატზე წარუმატებლობა თუ კიდევ რამე შეიძლება გავამართლოთ, ის არის, რომ ოლიმპიური თამაშების მომდევნო წელს გუნდებს ჩავარდნები აქვთ ხოლმე. მწვრთნელები ერთგვარ ექსპერიმენტებს მიმართავენ, ახალგაზრდებს უწყობენ საშუალებო გამოცდას და ა.შ. როტერდამში ტატამზე გავიდა შვიდიდან ოთხი ოლიმპიური ჩემპიონი. მათ შორის ერთადერთი, ვინც საპრი-

ზო ადგილი დაიკავა, გერმანელი ოლე ბიშოფია (81 კგ.). კორეელი ჩოი (60 კგ.) მსოფლიო ჩემპიონატს მეორე წრეში გამოეთხოვა. ასევე მეორე წრეში მისი ბედი გაიზარა იაპონელმა უჩიშიბამ (66 კგ.), ხოლო ირაკლი ცირეკიძემ, რომელმაც ოლიმპიური ჩემპიონობა 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოიპოვა, მისთვის ახალ - 100 კილოგრამში პირველივე ორთაბრძოლა წააგო. სტატისტიკა შემდეგსაც გვამცნობს. ირკვევა, რომ რიო დე ჟანეიროს მსოფლიო ჩემპიონატის (2007 წელი) ტრიუმფატორთაგან ჰოლანდიაში ტიტულის დაცვას ექვსი მათგანი შეეცადა (ერთადერთი ჩემპიონი, რომელსაც როტერდამში არ უასპარეზია, ტრავმირებული ბრაზილიელი დერლია - 66 კგ.). მაგალითად, ჰოლანდიელი ჰოუკსი (60 კგ.) პირველ წრეში დამარცხდა. იგივე მოუვიდა ბრაზილიელ კამილოს (81 კგ.) და ირაკლი ცირეკიძესაც. მათგან განსხვავებით, უფრო შორს წავიდა ბრაზილიელი კორეა (100 კგ.), რომელმაც სამი ორთაბრძოლა ჩაატარა,

ხოლო ფრანგმა ტედი რინერმა (მძიმე წონა) და კორეელმა ვანგმა ისევ იზეიმეს ჩემპიონობა. ერთი სიტყვით, როტერდამის ჩემპიონატი არაერთმა ტიტულოვანმა ძიუდოსტმა წაიფორსილა. უადგილო იქნებოდა საქართველოსა და იაპონიის ნაკრებების შედარება, მაგრამ ძიუდოს ფუძემდებლებმა (ვაჟებს ვგულისხმობთ) მსოფლიო ჩემპიონატი თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლით დაასრულეს. ის, რომ იაპონელებმა საკუთარი ქვეყნის შიშინი ვერ ააჟღერეს, 59 წელიწადია არ მომხდარა! ვაჟებისგან განსხვავებით, ქალებსა სამი ოქროსა და ამდენივე ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს. არადა, წლების განმავლობაში იაპონელები განაგებდნენ სპორტის იმ სახეობას, რომელიც სისხლსა და ხორცში აქვთ გამჯდარი. დრონი მეფობენო, ნათქვამია და საამისოდ ერთ მაგალითს მოვიტანო. 1973 წელს იაპონელებმა მსოფლიო ჩემპიონატზე გათამაშებული ოქროს მედლების სრული კომპლექტი დაისაკუთრეს. დღეს კი დანარჩენი მსოფლიოა მომძლავრებული, თანაც იმდენად, რომ ჯერ წამოეწივნენ და ახლა უსწრებენ კიდევ. მედროშეებდა კი იაპონელებმა როტერდამს ქალები მოუვლინეს. იმასაც ამბობენ, იაპონელ ვაჟ ძიუდოსტთა დიადი ერა დასრულდაო. ისაო ოკანო, შოზო ფუძი, იასუჰირო იამასიტა თუ შინჯი ოსოკავა მხოლოდ მოვონებებს შემორჩნენო.

მის საქართველო 2009 MISS GEORGIA

იმიჯ-ცენტრი იწვევს 17-25 წლამდე ასაკის მოგონებს მის საქართველო 2009-ში მონაწილეობის მისაღებად. **გახლი მის საქართველო!** მოიბა მთავარი პრიზი ახალი ავტომობილი სუზუკი სელერიო და გააფორმებთ სილამაზის საერთაშორისო კონკურსება. **იჩქარეთ! გაიარეთ რევისტაცია 9 სექტემბერამდე.**

თბილისი: ნიკო ნიკოლაძის №6 ტელ: 98 51 48, 20 00 20 855 95 90 25
 ბათუმი: ბარათაშვილის 23 ტელ: 7 68 23, 899 40 62 63
 რუსთავი: ვახუშტის ქ. 5, 24 სავ. სკოლა ტელ: 871 99 17 74, 879 78 07 84, 899 23 69 64

www.missgeorgia.ge

ფორმულა 1-ში ახალი სკანდალი მნიშვნელობა

საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციამ (FIA) შარშანდელი სეზონის სინგაპურის დიდ პრიზზე მომხდარი ინციდენტის შესწავლა ოფიციალურად დაიწყო. ის ინციდენტი რბოლის მე-17 წრეზე მოხდა და მის დროს, ბრაზილიელი ნელსინიუ პიკეს ბოლიდი დაიმტვრა (სურათზე), რის შემდეგაც ტრასაზე პეისკარი გამოვიდა. მომხდართი კარგად ისარგებლა პიკეს თანაგუნდელმა ფერნანდო ალონსომ, ვისაც პიტსტოპი ახალი მოვლილი ჰქონდა და რბოლა გამარჯვებით დაასრულა. მაშინ ყველა აღიარა, რომ ამ ინციდენტმა ესპანელ პილოტს დიდი უპირატესობა მიანიჭა. მან პიტსტოპი ორი წრით ადრე გაიარა, ლიდერებს კი გასავლელი ჰქონდათ. ტრასაზე პეისკარის გამოჩენის შემდეგ კი პიტსტოპი ცოტა ხნით ჩაიკეტა, რის გამოც, ლიდერ პილოტებს ტაქტიკის შეცვლა მოუხდათ. მთავარი კი ისაა,

რომ ბოქსების მოვლის შემდეგ, მათ ალონსოსთან ბევრი დრო წააგეს. მოკლედ, იმ სეზონში "რენომ" პირველი გამარჯვება სწორედ პიკეს ავარიის წყალობით მოიპოვა... მაშინ ყველა სწორედ იმაზე ლაპარაკობდა, რომ ამ ავარიამ გუნდს წარმატება მოუტანა. მაგრამ ვინ წარმოიდგენდა, რომ ყველაფერი წინასწარ დაგეგმილი ყოფილიყო. რა თქმა უნდა, ამ ეტაპზე ასეთი სერიოზული ბრალდების წამოყენება სარისკოა. მაგრამ ფაქტია, რომ FIA-მ საკითხის შესწავლა იმის გამო დაიწყო, რომ მის ხელთ სერიოზული სამხილები აღმოჩნდა. ბელგიური რბოლის ტრანსლირებისას, ბრაზილიურ ტელეარხ "გლოზიას" კომენტატორმა განაცხადა, რომ FIA-მ საქმის შესასწავლად დამოუკიდებელი ექსპერტები მიიწვია. ფედერაციაში ახალი სამხილების მიწოდების წყაროდ პიკე არ სახელდება. არა-

და, ბრაზილიელ პილოტს სერიოზული საბაბი აქვს იმისათვის, რომ ფლავიო ბრიატორეს წყალი აუღვრიოს - სწორედ ამ კაცის "წყალობით" აირია მისი კარიერა. მაგრამ საქმეში პიკეს ჩართულობაზე არავინ ლაპარაკობს. სამაგიეროდ ამბობენ, რომ ფედერაციას ფლავიო ბრიატორეს საწინააღმდეგო სერიოზული სამხილები გააჩნია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ FIA-ს "რენოს" მნიშვნელოვან საბუთებზე, მათ შორის, რბოლის დროს პილოტების მიმდინარე რადიოკავშირის ჩანაწერებსა და მანქანების მუშაობის ტექნეტრიულ მონაცემებზე მიუწვდებია ხელი. თუ ფედერაცია დაამტკიცებს, რომ პიკეს ავარია გამიზნული ქმედების შედეგი იყო, "რენოს" და ბრიატორეს სერიოზული სანქციები ელთ... **მერაბ ლორთქიფანიძე** <http://formula1ge.blogspot.com>



VARTA-ს ექსკლუზიური დილერი საქართველოში "თეგეტა მოტორსი" გთავაზობთ აკუმულატორებს ნებისმიერი მოდელის ავტომანქანისათვის. 8 წლიანი რეზერვით და 2 წლიანი საგარანტიო მომსახურებით.

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი 35-12 კმ.
☎ 24-44-44 ☎ 24-44-44 (1119)
E-mail: info@tegetamotors.ge www.tegetamotors.ge

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
 HOLDING COMPANY
 დ. რ. მ. ა. ბ. ხ. ბ. ხ. ბ.

განცხადება
აუქციონში ცვლილებების შესახებ

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გაზეთ 24 საათის 2009 წლის 26 აგვისტოს N187-ში გამოცხადებულ განცხადებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება: ნაცვლად "აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განცხადებები მიიღება საინფორმაციო ცნობის პრესაში პირველივე გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში, 2009 წლის 13 აგვისტოს 10.00 სთ/დან 2009 წლის 11 სექტემბრის 11.00 სთ/მდე. აუქციონი გაიმართება 2009 წლის 11 სექტემბერს 12.00 სთ/ზე." ჩაინეროს "აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განცხადებები მიიღება საინფორმაციო ცნობის პრესაში პირველივე გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში, 2009 წლის 26 აგვისტოს 10.00 სთ/დან 2009 წლის 24 სექტემბრის 11.00 სთ/მდე. აუქციონი გაიმართება 2009 წლის 24 სექტემბერს 12.00 სთ/ზე".

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა

შესწორება

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სასერვერო და კომპიუტერული ტექნიკისა და პერიფერიული მოწყობილობების შესყიდვის მიზნით, გაზეთ 24 საათში 2009 წლის 31 აგვისტოს გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში დაშვებულია მექანიკური შეცდომა. განცხადების მე-6 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"6. პრედენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ორ ეგზემპლარად (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი და ერთი ასლი) უნდა წარმოადგინონ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში (პეკინის ქ. N30, მე-4 სართ, N405 ოთახი) ერთ დახურულ კონვერტში ქართულ ენაზე, 2009 წლის 22 სექტემბრის 10.00 საათიდან 2009 წლის 22 სექტემბრის 15 საათამდე."

სატენდერო კომისიის აპარატი.

განცხადება

115-ე საჯარო სკოლა (თბილისი, გლდანის 8მ/რ) აცხადებს კონკურსს შემდეგ საიჯარო ფართებზე:

1. მობილური-საკომუნიკაციო აპარატურის გასანთავსებლად - 25მ2, 1მ2 - თვეში 32 ლარი;
2. სასკოლო ბუფეტი - 32მ2, 1მ2 - თვეში 4 ლარი;
3. სპორტ-დარბაზი - 200მ2, 1მ2 - თვეში 2,50 ლარი (არასაგაკვეთილო პერიოდი);
4. სააქტო დარბაზი - 238მ2, 1მ2 - თვეში 2,50 ლარი (არასაგაკვეთილო პერიოდი);
5. სამუსიკო ოთახი - 27მ2, 1მ2 - თვეში 4 ლარი (არასაგაკვეთილო პერიოდი)

განცხადების შემოტანის ბოლო ვადაა - 21.09.09. ტ: 57-27-02

ინფორმაცია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2009 წლის აგვისტოს თვეში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

- 1) გაზეთ "24 საათში"-ში 2009 წლის 27 ივნისს გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის კმ.55(0.7)-კმ.56 მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოების შესყიდვას გამარჯვებულად გამოცხადდა - შ.პ.ს. "ზიმო-7"
- 2) გაზეთ "24 საათში"-ში 2009 წლის 16 აივნისს გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა N8 ზონაში შემავალი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების (მარნეული-თეთრიწყარო-ნალკას საავტომობილო გზის კმ.1-60; კოდა-თეთრიწყაროს საავტომობილო გზის კმ.1-26.2; თეთრიწყარო-დაღეთი-ტოპანი-ბოლნისის საავტომობილო გზის კმ.1-20.4; ფარცხისი-მანგლისის საავტომობილო გზის 1-23; ფარცხისი-მანგლისის ს/გზის მე-8 კმ-ორბეთის საავტომობილო გზის კმ.1-9.5; თეთრიწყარო-ქსოვრეთი-გუდარეხი-სამონასტრო კომლექსის საავტომობილო გზის 1-14.5; სამშვილდეს კომპლექსთან მისასვლელი საავტომობილო გზის კმ.0-1; სოფ. სამშვილდე-პირღებულის ეკლესიას საავტომობილო გზის კმ.1-7) მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა - შ.პ.ს. "დავითი XXI".
- 3) გაზეთ "24 საათში"-ში 2009 წლის 27 ივნისს გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.181 და კმ.188 მონაკვეთების პერიოდული შეკეთების სამუშაოების შესყიდვას გამარჯვებულად გამოცხადდა - შ.პ.ს. "ბორანი"
- 4) გაზეთ "24 საათში"-ში 2009 წლის 17 ივლისს გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ჩოხატაური-ბახმაროს საავტომობილო გზის კმ.1-კმ.3 მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა - შ.პ.ს. "საინჟინრო-სამშენებლო ჯგუფი"
- 5) გაზეთ "24 საათში"-ში 2009 წლის 7 ივლისს გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნეკრესის სამონასტრო კომპლექსთან მისასვლელი საავტომობილო გზის კმ.0-კმ.4.5 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა - შ.პ.ს. ს.ს.ს.კ. "სერპანტინი"

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისია



მოწვევა წინასაკვალიფიკაციო შერჩევისათვის

საქართველო, თბილისი
ადმინისტრაციული დასახელებით ავტომობილის გაუმჯობესების პირველი პროექტი –
დამატებითი დაფინანსება
კრედიტის ნომერი
სატენდერო მოწვევის ნომერი: FEWHIP AF/CW/ICB-01

ან მისი ექვივალენტის აშშ დოლარებში ან ევროში გადახდის შემდეგ. გადახდის ფორმა პირდაპირი გადარიცხვა შემდეგ ანგარიშზე:

მიმღების დასახელება:	ხაზინის ანგარიში
საიდენტიფიკაციო კოდი:	302 003 000
სალარე ანგარიში:	200 122 900
სავალუტო ანგარიში:	001 189 362
მიმღები ბანკი:	საქართველოს ეროვნული ბანკი
კოდი:	220 101 107
გადასახადის დანიშნულება:	წინასაკვალიფიკაციო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის (მიუთითეთ პროექტის დასახელება)

E-60 ავტომობილურ რეკონსტრუქციის რეაბილიტაცია (კმ143)

- წინასაკვალიფიკაციო მოწვევა გამომდინარეობს აღნიშნულ პროექტზე ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებიდან, რომელიც 2006 წლის 8 ნოემბერს გამოქვეყნდა "Development Business Online"-სა და DG Market-ში.
- საქართველოს მთავრობამ მიიღო კრედიტი განვითარების საერთაშორისო ასოციაციიდან (დამატებითი დაფინანსება) ადმინისტრაციული დასახელებით ავტომობილის გაუმჯობესების პირველი პროექტის ხარჯების დასაფარად და განზრახული აქვს ამ კრედიტის ნაწილი გამოიყენოს E-60 ავტომობილურ რეკონსტრუქციის რეაბილიტაციის ნომერი FEWHIP AF/CW/ICB-01 კონტრაქტის ასანაზღაურებლად.
- წინასაკვალიფიკაციო შერჩევა ჩატარდება წინასაკვალიფიკაციო პროცედურებით, რომელიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში: "შესყიდვები განვითარების და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკის სესხებით და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის კრედიტებით" და ღიაა მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერი პრეტენდენტისთვის, როგორც ეს განსაზღვრულია ზემოხსენებულ სახელმძღვანელოში.
- წინასაკვალიფიკაციო კონფერენცია არ ჩატარდება.
- დანიშნულებულ, უფლებამოსილ განმცხადებლებს შეუძლიათ დამატებითი ინფორმაცია მიიღონ და გაეცნონ წინასაკვალიფიკაციო დოკუმენტებს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში 10:00 საათიდან 18:00 საათამდე (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით). სატენდერო დოკუმენტების მიღიანი პაკეტის ინგლისურ და ქართულ ენაზე შექმნა დანიშნულებული პრეტენდენტისათვის შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი მიმართვის და არაანაზღაურებადი 200 ლარის

- განაცხადი წინასაკვალიფიკაციო შერჩევაში მონაწილეობისთვის წარმოდგენილ უნდა იქნეს დალუქული პაკეტებით ქვემოთ მითითებულ მისამართზე არა უგვიანეს 2009 წლის 12 ოქტომბრის 17:00 საათისა და გარკვეული მითითების „E-60 ავტომობილურ რეკონსტრუქციის რეაბილიტაცია (კმ143)“ №FEWHIP AF/CW/ICB-01 კონტრაქტის წინასაკვალიფიკაციო განაცხადი.

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, III სართული, მიმღები.

საკონტაქტო პირი:

ბ-ნი შაქრო ხალვაში, შესყიდვების სამმართველოს უფროსი სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო (მე-4 სართული)
ტელ: + (995 32) 37 05 08 და მ. 2-15
ფაქსი: + (995 32) 31-30-34
ელექტრონული ფოსტა: info@georoad.ge და roaddepirakli@yahoo.com
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა აუქციონის ჩატარების შესახებ

ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 2 ოქტომბერს 14:00 საათზე, ვანში, თავისუფლების N65-ში (ვანის ყოფილი რაიონული საგადასახადო ინსპექციის შენობაში) კოლპერატივი "სოფლმშენკომპლექსის" (ს/ნ 229651052) ყადაღადადებულ ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს აუქციონს.

ლია - 6000 ლარად.

- სატვირთო ავტომობილი "კამაზ-5511" თვითმცლელი სარ NDAG-419 - შეფასებულია - 8000 ლარად.
- უნივერსალური ექსკავატორი ეო 3322ბ, ძრავი N425956, შეფასებულია - 8000 ლარი.
- ბულდოზერი "დტ 75 ბ" საქარხნო N632563, სანავის ტუმბოთი N662620, შეფასებულია - 3500 ლარად.
- ავტომობილი "ზილ 554" ჯართი შეფასებულია - 148 ლარად;
- ავტომობილი "ზილ-მმზ - 554მ" - შასი N2385600 - შეფასებულია 4000 ლარად;
- ავტომობილი "ზილ-555", სარ.N5928 - შეფასებულია - 900 ლარად.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების სანყისი ფასი შეადგენს 93258 (ოთხმოცდა-ცამეტიათას ორასორმოცდათვრამეტი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია).

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადებოზიტო ქვანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის სანყისი ღირებულების 2%, რომლის შექმნასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დანიშნულებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. NN1

სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

- ადმინისტრაციული შენობა - ორსართულიანი, ფართი - 237.90 კვ.მ. - შეფასებულია - 10000 ლარად;
- ავტომობილი ამწე "მაზ - 5337" სარ NDAG 957- შეფასებულია - 15000 ლარად;
- სპეცავტომობილი "გაზ-52-04" ცისტერნის საჯართე- შეფასებულია - 270 ლარად;
- სატვირთო ავტომობილი "ზილ-მმზ-4502" სარეგ NDAF 583, ძრავი N539300 შეფასებულია - 4000 ლარად;
- ტრაქტორ ბელორუსი "მტზ-80" ძრავი N001293 - შეფასებულია - 1300 ლარად;
- სპეცავტომობილი "გაზ-52-04" ცისტერნის, ძრავი N14955- შეფასებულია - 350 ლარად;
- სპეცავტომობილი "გაზ52-04" ტექდახმარების, სარეგ N3781 გალ.- შეფასებულია - 450 ლარად;
- ტრაქტორი ბელორუსი "მტზ-80" ძრავი N885955 - შეფასებულია - 1000 ლარად;
- სატვირთო ავტომობილი "კამაზ-5520", ძრავი N738313- შეფასებულია - 7000 ლარად;
- ბულდოზერი "დ-535" ძრავი N79603888, ტუმბო N4730130- შეფასებულია - 6000 ლარად;
- ავტომობილი "კამაზ-5511" თვითმცლელი სარ N6312 გან,ჩარჩო N036364- შეფასებულია - 7000 ლარად;
- სატვირთო ავტომობილი "კამაზ-5511" თვითმცლელი სარ NDAG736- შეფასებულია - 8000 ლარად;
- ავტომობილი "მაზ-503" შასი N45959 - შეფასებულია - 1000 ლარად;
- საშუალო ტევადობის ავტობუსი "პაზ-672" სარ. NDAG 418 - შეფასებულია - 540 ლარად;
- სატვირთო ავტომობილი "ზილ-130" ბორტიანი, სარეგ N35-38 გალ. - შეფასებულია - 800 ლარად;
- სატვირთო ავტომობილი "კამაზ-5511" თვითმცლელი სარ NDAP-168 - შეფასებულია - 6000 ლარად.

ჩვენს საქმიანობის პრიორიტეტი ქალის ჯანმრთელობაა ! თავი დაიცავით სარკივე ჯირკვლის და საშვილოსნოს ავთი- საბიანი სიმსივნეებისგან !!!

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში და მობილურ სკრინინგ-ცენტრში სარქვე ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის პროგრამით ყოველდღიურად წარმოებს პაციენტთა მიღება.
სარქვე ჯირკვლის მამოგრაფიული კვლევა ჩაუტარდება 40-დან 70 წლამდე ასაკის ქალბატონებს. გინეკოლოგიური გასინჯვა და პაპ-ტესტი ჩაუტარდება 25-დან 60 წლამდე ასაკის ქალბატონებს.

პროგრამა დაფინანსებულია თბილისის მერიის, „გაეროს“ მოსახლეობის ფონდის მიერ და გათვალისწინებულია დედაქალაქის ქალთა მოსახლეობაზე.
პროგრამა მიმდინარეობს პირველი ლედის მხარდაჭერით.
გამოკვლევები ტარდება წინასწარი ჩანერით. აუცილებელია მოქალაქემ თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.
პაციენტების მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.
მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თ. აბულაძის 20 (ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
ტელ.: 91 31 19; 91 32 42; ტელ./ფაქსი 25 39 38;

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ტენდერის ჩატარების შესახებ

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს ტენდერს დუშეთის მუნიციპალიტეტში დაბა ჟინვალის ქუჩებზე ა/ბეტონის საფარის სამუშაოების მოწყობის სახელმწიფო შესყიდვაზე და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვა განხორციელდება ერთ ლოტად:

პირველი ლოტი:

დაბა ჟინვალის ქუჩებზე ა/ბეტონის საფარის სამუშაოების მოწყობა.

შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები და ტექნიკური პარამეტრები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციათა პაკეტში.

2. **მინოდების სავალდებულო ვადაა:** ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დეკემბრის ჩათვლით.

3. **სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის** გადახდის შემდგომ სატენდერო დოკუმენტაცია მოთხოვნის შესაბამისად ქართულ ენაზე გაიცემა 2009 წლის 1 სექტემბრის 10:00 საათიდან - 21 სექტემბრის 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქალაქი დუშეთი რუსთაველის ქუჩა N 27 ,დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის პირველი სართული სატენდერო კომისია.

4. **დაინტერესებულმა პირებმა** საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება 1 დედანი და 2 ასლი (ერთ დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 22 სექტემბრის 11:00 საათიდან 25 სექტემბრის 16:00 საათამდე. დალუქული კონვერტები გაიხსნება 2009 წლის 25 სექტემბრის 16:00 საათზე. შემდეგ მისამართზე: ქალაქი დუშეთი რუსთაველის ქუჩა N 27 ,დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის პირველი სართული სატენდერო კომისია.

5. თანხა გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე; სახალხო ბანკის დუშეთის ფილიალი ბ/კ 220101403 ა/ა 33030001. ს/კ 229324451

6. **დანიშნულება:** - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი. დუშეთის მუნიციპალიტეტებში დაბა ჟინვალის ქუჩებზე ა/ბეტონის სამუშაოების მოწყობის სახელმწიფო შესყიდვაზე

7. **საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას.**

7.1 იურიდიული პირისათვის:

- -- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- -- ცნობას, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნას საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- -- ცნობას, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის გადახდისუნარიანობის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნას სასამართლოდან);
- -- ცნობა იურიდიული პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ(იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
- **7.2 ფიზიკური პირისათვის;**
- -- ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

- -- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- --საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრაციის დამადასტურებელი საბუთი;
- -- ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ფიზიკური პირის გადახდისუნარიანობის საქმის წარმოება(ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან).
- -- ცნობას ფიზიკური პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
- 7.3 როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირისათვის;
- 7.3.1.ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არქონის შესახებ.
- 7.3.2.ინფორმაციას სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.
- 8. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

9. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი 1%-ის ოდენობით საბანკო გარანტიის ფორმით.

10. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 2 %-ის ოდენობით, საბანკო ან სადაზღვევო გარანტიის ფორმით.

11. **დაინტერესებულ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში. ასევე დამატებითი ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისგან: ლაშა ჯანაშვილი 895229729, ბესიკ ვარდიშვილი 895171880, მანანა ნარიმანიძე 895962545, მისამართზე: ქალაქი დუშეთი რუსთაველის ქუჩა N 27 ,დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის პირველი სართული სატენდერო კომისია.**

12. პრეტენდენტის მიერ განცხადების მე-7 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება გარდა 7.3.1 --- 7.3.2 ქვეპუნქტებისა.

13. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული.

14. სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ტენდერში მონაწილე ფიზიკური და/ან იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორების საკვალიფიკაციო მონაცემები განცხადების მე-7 პუნქტის შესაბამისად

15. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული **სატენდერო კომისია**

2009 წელს 17 აპრილს გამოცხადებული ტენდერის შეხვედრები

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს ტენდერს უნივერსიტეტის კორპუსების სარემონტო სამუშაოებზე და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი:

ლოტი-I -უნივერსიტეტის I კორპუსის (თამარ მეფის N59) ტ.ტაბიძის ქუჩის მხრიდან ქვის მხატვრული ფასადის კაპიტალური შეკეთება.

ლოტი-II- უნივერსიტეტის I კორპუსის (თამარ მეფის N59) აუდიტორიების, კაბინეტების და კორიდორების კაპიტალური შეკეთებითი სამუშაოები.

ლოტი-III--უნივერსიტეტის V კორპუსის (ახალგაზრდობის N98) კაპიტალური შეკეთებითი სამუშაო.

დაფინანსების წყარო:

სახელმწიფო ბიუჯეტი.

სამუშაოს შესრულების ვადაები:

2009 წლის 10 ნოემბერი.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ. სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით. მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: **აპაკი ნარათლის სახელმწიფო უნივერსიტეტი თამარ მეფის N59 ს/კ 212693049 "თიბისი"** გაკის ქუთაისის ფილიალი მფო 220101888; ანგN340801002.

საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად დედანი და ასლი დახურულ კონვერტში.

სატენდერო წინადადებების მიღება მოხდება 2009 წლის 7 სექტემბერს 12 საათიდან 14 საათამდე. ქ.ქუთაისი თამარ მეფის ქ. N59 I კორპუსი "მწვანე დარბაზი".

საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები:

იურიდიული პირისთვის:

- 1) ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუნარიანობის საქმის წარმოება. გაცემული უნდა იქნას 5 დღით ადრე სატენდერო დოკუმენტაციის გახსნამდე.
- 2) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ. გაცემული უნდა იქნას 5 დღით ადრე სატენდერო დოკუმენტაციის გახსნამდე.

3) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან. (საგადასახადო ინსპექციიდან). გაცემული უნდა იქნას 5 დღით ადრე სატენდერო დოკუმენტაციის გახსნამდე.

4) ცნობა, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია. (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან) გაცემული უნდა იქნას 5 დღით ადრე სატენდერო დოკუმენტაციის გახსნამდე.

ფიზიკური პირისათვის:

- 1) ცნობა მისი ქმედით უნარიანობის შესახებ. (ცნობა შესაბამისი უფლება მოსილი დაწესებულებიდან)
- 2) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუნარიანობის საქმის წარმოება. გაცემული უნდა იქნას 5 დღით ადრე სატენდერო დოკუმენტაციის გახსნამდე.

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

1) შესყიდვაში მონაწილე პირის რეკვიზიტები (ფიზიკური პირისათვის მისი საინდიფიკა-

ციო მონაცემები პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით,საკონტაქტო ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები.

(**იურიდიული პირისათვის**): მისი სრული სახელწოდება,გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი,იურიდიული მისამართი,შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებაზე ხელის მომწერი პირის მონაცემები პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, საკონტაქტო ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები.)

2) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ.

3) ცნობა ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ. გაცემული უნდა იქნას 5 დღით ადრე სატენდერო დოკუმენტაციის გახსნამდე

4) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის(ინკასოს) არ არსებობის შესახებ. გაცემული უნდა იქნას 5 დღით ადრე სატენდერო დოკუმენტაციის გახსნამდე სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 17 აგვისტოდან 9.00 საათიდან 18.00 საათამდე სამუშაო DDდღეებში 2009 წლის 7 სექტემბრის 12.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი თამარ მეფის N59 III კორპუსი კაბ.N3104 სატენდერო აპარატი.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ სატენდერო წინადადების და საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემდეგ მისამართზე: **აპაკი ნარათლის სახელმწიფო უნივერსიტეტი თამარ მეფის N59 III კორპუსი კაბ.N3104 სატენდერო აპარატი.**

ტენდერში ლოტების მიხედვით შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა. ტენდერში არ გამოიყენება პრეტენდენტთა წინადადებების წარმოდგენისა და კონვერტების გახსნის ალტერნატიული წესი.

დაგვიანებით შემოსულ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს და სატენდერო წინადადებებს კომისია არ განიხილავს.

საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა აუცილებელია ტენდერში მონაწილე კომპანიების სუბ კონტრაქტორებზეც;

სატენდერო წინადადების მოქმედების მინიმალური ვადა არ უნდა იყოს სატენდერო წინადადების პაკეტის გახსნის დღიდან 30 დღეზე ნაკლები. აღნიშნული ასახული უნდა იყოს სატენდერო წინადადებაში.

სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის 7 სექტემბერს 14 საათზე შემდეგ მისამართზე: **ქ.ქუთაისი თამარ მეფის ქ. N59 I კორპუსი "მწვანე დარბაზი"**

პრეტენდენტებს უფლება აქვს დაესწროს სატენდერო წინადადების გახსნაზე. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ **ქ.ქუთაისი თამარ მეფის N59 აპაკი ნარათლის სახელმწიფო უნივერსიტეტი III კორპუსი კაბ.N3104 სატენდერო აპარატი. ტ - (8231) 5 01 99;**

საკონტაქტო პირები :

- 1) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფესორი **ზაზა სოსხაძე (8231) 4 53 45**
- 2) ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი **გომი ფოფხაძე (8231) 5 01 81.**
- 3) მატერიალური რესურსების მართვის განყოფილების **უფროსი მირაზა სალინაძე (8231) 4 31 79**

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერია 2009 წლის 30 სექტემბერს ატარებს ბანკიერებით აუქციონს (პირობით)

აუქციონზე გამოტანილი იქნება თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკუთრებაში არსებული შემდეგი ქონება:

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ლითონის მილი, კერძოდ:

Table with 7 columns: №, აღვივლებარეობა, დიამეტრი (მმ), სიგრძე (მ), საწყისი საპრივატიზაციო თანხა(ლარებში), "ბე", ბიჯი

აუქციონის პირობები:

- 1. ნიადაგიდან მიღების ამოღების სამუშაოები მოხდეს მყიდველის ხარჯით.
2. მიღების ამოღების შემდგომ ინფრასტრუქტურა და კომუნიკაცია მოყვანილ იქნეს პირვანდელ მდგომარეობაში.

აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და სანქციები:

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ან ამ პირთა გაერთიანებებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების საბოლოო თანხა გადაიხადოს აუქციონის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და "ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს განცხადების გამოქვეყნების დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში 9 საათიდან 18 საათამდე, (თვითმმართველი ქალაქი რუსთავი კოსტავას გამზირი №20) ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 9 საათიდან 15 საათამდე, აუქციონი გაიმართება 16 საათზე.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
ბ) "ბე"-ს შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს:
ს.ს. "საქართველოს ბანკი" რუსთავის ფილიალი
საიდენტიფიკაციო კოდი 220101502
ან. 266897601 (მიეთითოს გადასახადის დანიშნულება).
გ) მონაწილის ბილეთის ფასის - 50 ლარის შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს:
220101222
სახელმწიფო ხაზინა
200122900
ერთიანი ანგარიში
სხვა შემოსულობები (რუსთავი)
სახაზინო კოდი 300063282
(სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი)
დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
ვ) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამუშაოზე რეესტრირიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში)
აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე "ბიჯი"-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.
დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:
ქ. რუსთავი, კოსტავას გამზირი №20
ტელ: (824) 12 12 66

ს.ს. „ახალციხის რაიონული საავადმყოფო“ აცხადებს აუქციონს

Table with 7 columns: დასახელება, ექსპლუატაცი აში შესვლის წელი, მდგომარეობა, საწყისი გასაყიდი ფასი, "ბე", ბიჯი, ბილეთის ღირებულება შეადგენს

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გამოიყენება და მყიდველის მიერ ხელმოწერილი, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება. გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვების სტატუსს. ამასთან, მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საბოლოო თანხა. აუქციონი ჩატარდება ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს, განცხადებების მიღება დაიწყება 1 სექტემბერს 10 საათიდან და შეწყდება 30 სექტემბერს

12 სთ-ზე. მისამართი: ქ. ახალციხე რუსთაველის ქ. №105ა ს.ს. „ახალციხის რაიონული საავადმყოფო“.

აუქციონი ჩატარდება ს.ს. „ახალციხის რაიონული საავადმყოფო“-ს სააქტო დარბაზში, 30 სექტემბერს 14 საათზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა ს.ს. „ახალციხის რაიონული საავადმყოფოს“ დირექციაში უნდა წარადგინონ განაცხადი და ბე-ს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. ბე-ს სიდიდე შეადგენს ობიექტის საწყისი გასაყიდი ღირებულების მინიმუმ 50%-ს, ბიჯი შეადგენს საწყისი ღირებულების 5%, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს:

„სახალხო ბანკი“-ს ახალციხის ფილიალი ბანკის კოდი 220101466 ანგარიშის №36080662 საიდენტიფიკაციო კოდი №224066891.

დაწერილებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ქ. ახალციხე რუსთაველის №105ა ს.ს. „ახალციხის რაიონული საავადმყოფო“-ს ტელ: 893360367.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება

საქმე №2-120

საქართველოს სახელით (მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო)

05 ივნისი 2008 წელი.

ქ. ქობულეთი

ქობულეთის რაიონული სასამართლო

მოსამართლე: ზურაბ სურმანიძე

სხდომის მდივანი: თალიკო წინილეიშვილი

მოსარჩლე: ვახტანგ ქორიძე.

წარმომადგენელი: როინი შავაძე.

მოპასუხე: თამარ ქორიძე.

მოსარჩელის მოთხოვნა: ქორწინების რეგისტრაციის შეწყვეტა.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე, 53-ე, 230-ე, 234-ე, 235-ე, 236-ე, 237-ე, 369-ე, მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა

ვახტანგ ქორიძის სარჩელი დაკმაყოფილდეს.

შენყდეს ქორწინება ვახტანგ იონანას-ძე ქორიძეს, (დაბ. 1949 წლის 24 დეკემბერს ქ. ბათუმში) და თამარ ვახტანგის-ასულ ქორიძის (დაბ. 1955 წლის 05 თებერვალს ქ. ქუთაისში) შორის, რომელიც რეგისტრირებულია ქ. ტყიბულის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი განყოფილების მიერ 1985 წლის 20 სექტემბერს №16 ჩანაწერით, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილებაში კანონიერ ძალაში შესული ამ გადაწყვეტილების წარდგენის დღიდან.

მოსარჩელის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 ლარი, ჩაირიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

განქორწინების მოწმობის გაცემასთან დაკავშირებით დაწესებული მოსაკრებელი 45 (ორმოცდახუთი) ლარის ოდენობით გადახდეს მოსარჩელე ვახტანგ ქორიძე.

განემართოს მოპასუხე თამარ ქორიძეს, რომ ამ გადაწყვეტილებაზე საჩივრის შემოტანა შეუძლია ამავე სასამართლოში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და აღარ გასაჩივრდება;

მოსამართლე: ზ. სურმანიძე.

ბანკიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს განმეორებით ტენდერს სამინისტროს ბალანსზე არსებული ავტორანსპორტის ტექნიკური მომსახურების (სერვისი სათადარიგო ნაწილებით) შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებაც: სახელმწიფო სახაზინო კოდი: 302003174, ანგარიშსწორების ანგარიში №200122900, მითითებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი, ტენდერის დასახელება და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ქ. თბილისი გ. გულუას №8 მე-3 სართული, რის შემდგომაც გადმოგეცემა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაცია გაცემა ა/წ 1 სექტემბრის 10:00 საათიდან 20 სექტემბრის 18:00 საათამდე.

1. შესყიდვის ობიექტი:

№	დასახელება	რაოდენობა
1	"მერსედესი" E 280	1
	"მერსედესი" ML	4
	"მერსედესი" მ/ა	1
	"მერსედესი" E 220	2
	"მერსედესი" C 220	1
	"მერსედესი" S 500	4
	"მერსედესი" E 320	1

2. მომსახურების გაწევის ადგილი - ქ. თბილისი; მომსახურების გაწევის ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. მომსახურების პირობები იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში.

3. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 21 სექტემბრის

11:00 საათიდან 15:00 საათამდე მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. №8.

- 4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
 - ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
 - ბ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
 - გ) ცნობა შესაბამისი უწყებებიდან რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

5. წარმოდგენილ უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემები და მიწოდების მიერ ქვეკონტრაქტორებთან გაფორმებული ხელშეკრულებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

6. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

7. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და/ან სატენდერო განცხადების მოთხოვნებს. დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებები არ განიხილება და გაუხსნელად უბრუნდებათ პრეტენდენტებს.

8. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი გამარჯვებული.

9. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

10. ტენდერი ჩატარდება 21 სექტემბრის 15:00 საათზე მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. №8.

11. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დახუჭვას არ ექვემდებარება.

12. ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისა და ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიები არ გამოიყენება.

13. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისგან: დავით რეხვიაშვილი, ტელ. 41-11-69; 877 94-27-77, ნინო განჯელაშვილი 8 77 52-81-83.

სატენდერო კომისია

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

ბ ა ნ კ ს ა დ ე ბ ა

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მრჩეველის (II კატეგორია) ვაკანტურ თანამდებობაზე - 1 სამსახურ ერთეული (თანამდებობრივი სარგო - 950 ლარი).

კონკურსის პირობები:

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდეგ - კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირობებში, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატის ასაკი განსაზღვრულია 21-დან 65 წლამდე.

საკონკურსო-საატესტაციო კომისია კონკურსში მონაწილე კანდიდატს აფასებს და განაწესებს იღებს "საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატის საჯარო მოსამსახურეთა კონკურსის და ატესტაციის ჩატარების წესისა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 27 მაისის N100 ბრძანებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი ეკონომიკური ან იურიდიული განათლება;
- საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა.

საკონკურსო თემატика:

- "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი;
- "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი;
- "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის N1 ბრძანება;

- "საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 7 ნოემბრის N541 ბრძანებულება;

- "საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 27 ნოემბრის N271 ბრძანება.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია;
2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მონომობის ასლი;
3. შრომის ნიგნაკის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
4. ორი ფერადი ფოტოსურათი (ზომა 3X4);
5. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

საბუთები მიიღება განცხადების გამოქვეყნებიდან ორი კვირის განმავლობაში, 10.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე (შაბათ-კვირის გარდა), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურატურის მოქალაქეთა მისაღებში მისამართზე: თბილისი, გორგასლის 24.

კონკურსს ატარებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

კონკურსი ტარდება გასაუბრების ფორმით განცხადების გამოქვეყნების დღიდან არა უადრეს სამი კვირისა.

ყოველ კანდიდატს, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს ხუთი დღისა, წერილობით ეცნობება მის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილების შესახებ.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

კონკურსის თაობაზე ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში მისამართზე: თბილისი, გორგასლის 24; ტელ: 40-50-88, 40-50-17 (საქართველოს მთავარი პროკურატურის მოქალაქეთა მისაღები).

აღნიშნული განცხადება შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ-გვერდებზე: www.justice.gov.ge (იუსტიციის სამინისტრო), www.psb.gov.ge (საჯარო სამსახურის ბიურო) და www.jobs.gov.ge (დასაქმება საჯარო სამსახურის სისტემაში).

საჯარო სამსახურის ბიურო



შპს "თბილისის საარბიტრაჟო-სამომრიგებლო პალატა"

საქართველო, ქ. თბილისი 0108, გახვლედიანის №23 ტელ/ფაქსი: (+995 32) 92 14 96 ელ-ფოსტა: tsspalata@gmail.com www.tsspalata.ge

უ წ ყ ე ბ ა

მოპასუხე:

27.08..2009წ.

გიორგი შათირიშვილი მის: ქ. თბილისი, ბუღაგეშტის ქ. 13.

გაცნობებთ, რომ 2009 წლის 14 სექტემბერს 11:00 საათზე შპს "თბილისის საარბიტრაჟო-სამომრიგებლო პალატაში" (გ. ახვლედიანის №23, მე-3 სართული) გაიმართება საარბიტრაჟო პროცესის მთავარი სხდომა ღველი ცქიფურიშვილის საარბიტრაჟო პრეტენზიის სამოქალაქო საქმის შესახებ.

განემარტავთ, რომ შპს "თბილისის საარბიტრაჟო-სამომრიგებლო პალატის" დებულების 17.25 მუხლის შესაბამისად, თუ არბიტრაჟის მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე, რომელსაც გაუგზავნა შეტყობინება შპს "თბილისის საარბიტრაჟო-სამომრიგებლო პალატის" დებულების მე-11 მუხლით დადგენილი წესით, და პრეტენდენტი შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ საარბიტრაჟო პრეტენზიაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება და არბიტრაჟი გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას. უწყება მხარისათვის ჩაბარებულია ჩაითვლება გახუთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს. არბიტრი: ლ. ქარუმიძე

შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" (ყოფილი თბილისის წყალი) აცხადებს ღია კონკურსს სამგორის წყალსადენის საფილტრე სადგურის მე-4 რიგის ფილტრებში N1, N6, N7 და N10 ფილტრების კაპიტალურ შეკეთებაზე.

დამატებითი ინფორმაცია და საკონკურსო პაკეტი დაინტერესებულ იურიდიულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" შესყიდვების განყოფილებაში, ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა), 09:00-დან 18:00 სთ-მდე ან ელექტრონული სახით, ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

დასტური ტენდერში მონაწილეობის შიდასახე მიღებულ უნდა იქნას არაუგვიანეს მ/წ 4 სექტემბრისა, ელექტრონული სახით სხენებულ მისამართზე, ხოლო საკონკურსო წინადადების წარმოდგენის საბოლოო ვადა მ/წ 10 სექტემბერი.

საკონტაქტო ტელეფონი 8(32) 487141, 8(32) 487143ზელფოსტა: ekvintradze@georgianwater.com



ქალაქ თბილისის მერი

N010.260.030.38.101.013.488
26 აპრილი 2009 წ. ბრძანება N42

21 აპრილი 2009 წ.

ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის - კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ ქ. თბილისის მერის 2008 წლის 19 დეკემბრის N58 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის - კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ ქ. თბილისის მერის 2008 წლის 19 დეკემბრის N58 ბრძანებით დამტკიცებულ ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის - კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციის დებულებაში და დებულების მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 7.

- 1. ინსპექციის სტრუქტურა განისაზღვრება შემდეგი სახით:
ა) სამსახურებრივი კონტროლის განყოფილება;

- ბ) იურიდიული პირების კონტროლის განყოფილება;
გ) ოპერატიული რეაგირების განყოფილება.
2. ამ დებულებით განსაზღვრულ ამოცანათა შესრულების მიზნით, სამსახურებრივი კონტროლის განყოფილება უზრუნველყოფს:
ა) ამ დებულებით დადგენილი წესით მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტებზე სამსახურებრივი მოკვლევებისა და შემოწმებების ჩატარებას;
გ) მოქალაქეთა განცხადება-საჩივრების შესწავლასა და მათზე სათანადო რეაგირებას;
დ) სამსახურებრივ შემოწმებებთან დაკავშირებული სამუშაო გეგმის შემუშავებას.
3. იურიდიული პირების კონტროლის განყოფილება უზრუნველყოფს ქ. თბილისის მერიისა და მერიის ნილობრივი მონაწილეობით არსებული ან/და მისი მმართველობის სფეროს მიკუთვნებული იურიდიული პირების საფინანსო და სამართლებრივი რევიზიების ჩატარებას.
4) ოპერატიული რეაგირების განყოფილება უზრუნველყოფს სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებას, საშემსრულებლო და შრომის დისციპლინის დაცვაზე ზედამხედველობას, ქ. თბილისის მერიისა და სამსახურის უფროსის ცალკეული დავალებების ოპერატიულ შესრულებას;
2. ბრძანება ძალაშია 2009 წლის 3 სექტემბრიდან.
ქ. თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებელი მამუკა ახვლედიანი

განცხადება ტენდერის შესახებ

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა (მისამართი: ქ. ზუგდიდი, 2100 რუსთაველის ქ. N90) აცხადებს ტენდერს გარე განათების სანათების შესყიდვაზე და ინვესტორის მიხედვით მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

შესყიდვის ობიექტი:

- 70 ვტ. უმაღლესი ხარისხის სანათები (ნათურებით), გასუფთავებული ალუმინის კორპუსით, მაღალი ხარისხის მინით, მაღალი ფოტომეტრით, ექსპლუატაციის საგარანტიო ვადით - 200 ცალი.

3. მიწოდების ვადები: საქონლის მიწოდების სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღე;

4. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად (ორიგინალის და ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით) უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტით 2009 წლის 22 სექტემბერს, 10 სთ-დან 15 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N90, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მე-3 სართული, ოთახი N12. სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნეს პრეტენდენტი იურიდიული და ფიზიკური პირის ხელმძღვანელის მიერ და დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირისათვის:

- ა) ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან, მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
ბ) ცნობას, გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან, მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
გ) ცნობას, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოდან).

5.2 ფიზიკური პირისათვის:

- ა) ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
ბ) ცნობას, გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
გ) ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციის საბუთი;
დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი.

5.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

- ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
ბ) ამონაწერი სამწარმოო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
გ) ცნობა მასზე, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);
დ) ინფორმაცია ანალოგიური მიწოდების შესახებ.
6. სუბ-კონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში მათი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს მე-5 მუხლში მითითებულ ცნობებსა და ინფორმაციას.
7. დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.
8. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის 22 სექტემბერს 15 სთ-ზე, სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებისთანავე, პრეტენდენტების თანდასწრებით, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.
9. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.
10. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.
11. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და შესაბამისი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ შეეძლება განცხადების გამოქვეყნებიდან საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების მიღების დასრულებამდე, შემდეგ მისამართზე ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N90, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მე-4 სართული, ოთახი N3. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.
12. ტენდერში მონაწილეობაზე დაინტერესებულ პრეტენდენტებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.
13. სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის N200122900, მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 300343174, გადახდის დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი.
14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ბესიკ ქარდავა - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N90, მე-4 სართული, მე-3 ოთახი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საკონტაქტო ტელეფონი: 8(215) 5-19-39.

სატენდერო კომისია

2009 წლის 13 აგვისტოს №179 გაზეთში „24 საათი“ სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის“ მიერ „გლობალური ფონდის“ პროგრამების „აივ/შიდსის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში“ და „აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობის, მოვლისა და მხარდაჭერის ღონისძიებების გაფართოება“ ფარგლებში სამედიცინო აღჭურვილობისა და ინვენტარის (ახალი სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობები და ინვენტარი, საგარანტიო-სერვისული მომსახურებით) შესყიდვის ტენდერის გამოცხადებულ განცხადებაში ვაზუსტებთ, რომ მე-12 ლოტი ჩამოყალიბებული არის შემდეგი რედაქციით

Table with 4 columns: Lot No, Object Name, Quantity, and Price. Row 1: Lot No 12, Name: საგარდელი სისხლის ადებისათვის, Quantity: ცალი, Price: 1

თვალის მიკროქირურგიის
ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს
კლინიკა
" ო ფ თ ა ლ მ ი ჯ ი "
ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით
და ერთი მოქრავი საოპერაციო
ბლოკით
SLT-ლაზერი
გლაუკომის ქირურგიაში
ოფთალმოქირურგიული ტექნიკის უკანასკნელი მიღწევა
ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80



ქალაქ თბილისის მერი

N010.260.030.38.101.013.489
26 აგვისტო 2009წ.
ბრძანება N43

21 აგვისტო 2009წ.

"ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის დებულებების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2006 წლის 26 დეკემბრის N14 ბრძანებით დამტკიცებულ სამსახურის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილი იქნეს ცვლილებები "ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2006 წლის 26 დეკემბრის N14 ბრძანებით დამტკიცებულ ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის დებულებაში (დანართი 1)

ა) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 2.

1. სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მის კომპეტენციის მიკუთვნებულ საკითხებზე, საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება.

2. სამსახურის ძირითად ფუნქციებს, მოქმედი კანონმდებლობით ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში, დადგენილი წესის თანახმად, განეკუთვნება:

ა) თბილისის ადგილობრივი ქონების აღრიცხვა-რეგისტრაციის უზრუნველყოფა;

ბ) ქ. თბილისის თვითმმართველობის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემასა და განკარგვასთან დაკავშირებული საკითხების წინმსწრები განხილვა, ორგანიზება და ამ პროცესის იურიდიული გაფორმების უზრუნველყოფა. ქ. თბილისის თვითმმართველობის ქონების, თვითმმართველი ერთეულის ორგანოებსა და თვითმმართველი ერთეულის სტრუქტურულ ერთეულებს შორის გადაცემასთან დაკავშირებული პროცედურის ორგანიზება;

გ) ქ. თბილისის თვითმმართველობის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემასა და განკარგვაზე შემდგარ გარიგებათა ანალიტიკური უზრუნველყოფა.

დ) ქ. თბილისის ტერიტორიაზე შესაბამისი ხელშეკრულებით და გარე რეკლამის განთავსების ნებართვით გათვალისწინებული გარე სარეკლამო საშუალებების განთავსებისათვის ქ. თბილისის ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელი საზღაურის ანალიზის უზრუნველყოფა;

ე) ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მათი სტრუქტურული ერთეულების, ან ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული), ასევე, დედაქალაქის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამონერასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება;

ვ) სათანადო დოკუმენტაციის პროექტთა მომზადება და ქ. თბილისის მთავრობაში წარდგენა, რომელიც დაკავშირებულია ქ.თბილისის თვითმმართველობის ქონების იჯარით ან სხვა ფორმით სარგებლობის წესის განსაზღვრასთან;

ზ) ქ. თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებული საწარმოების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ანალიზი, ამ საწარმოთა ფინანსური ანგარიშების (ბალანსების, მოგება-ზარალის ანგარიშების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშების) მიღების უზრუნველყოფა, მათი საქმიანობის თაობაზე ანგარიშების მოსმენა და შეჯამებული ანგარიშის წარდგენა ქ. თბილისის მთავრობაში;

თ) საფინანსო-ეკონომიკური მონიტორინგის სისტემის ფორმირება;

ი) საწარმოთა საქმიანობის შედეგად მიღებული მოგებიდან ქ. თბილისის ბიუჯეტის კუთვნილი დივიდენდების მოზილზაცია. საწარმოთა წმინდა მოგებისა და სხვა შემოსავლების განაწილების თაობაზე ნორმატივების განმსაზღვრელი დოკუმენტაციის პროექტთა შედგენა, მათი ქ. თბილისის მთავრობაში დასამტკიცებლად წარდგენა;

კ) საწარმოთა აუდიტორული შემოწმების ორგანიზების კონტროლი და კოორდინაცია;

ლ) საწარმოთა დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის საკითხების განხილვა და კოორდინაცია, ამ საკითხებთან დაკავშირებული სათანადო წინადადებებისა და დოკუმენტაციის პროექტების მომზადება; არაეფექტური და წამგებიანი საწარმოების გამოვლენა და შემდგომი რეაგირების მიზნით სათანადო წინადადებების შემუშავება;

მ) საწარმოებში "მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით დამფუძნებლისათვის მინიჭებული (პარტნიორის/აქციონერის) უფლებამოსილების განხორციელება, პარტნიორთა (აქციონერთა) კრებებზე, რწმუნებული პირების მეშვეობით, საწარმოთა მართვაში მონაწილეობის მიღება;

ნ) საწარმოებში ქ. თბილისის მთავრობის (როგორც პარტნიორის) წარმომადგენელთა დაწინაურების (არჩევის) საკითხების განხილვა-კოორდინაცია და სათანადო გადაწყვეტილებების მიღება;

ო) საწარმოების ბალანსზე რიცხული ქონების გირაოთი ან იპოთეკით დატვირთვის თაობაზე საკითხების განხილვა;

პ) საწარმოების წესდებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე წინადადებების მომზადება, აგრეთვე წინადადებების წარდგენა ქ. თბილისის მთავრობის წინაშე საწარმოთა კაპიტალში ცვლილებასთან დაკავშირებით;

ჟ) მოქმედი კანონმდებლობით, სათანადო ნორმატიულ - სამართლებრივი აქტებითა და ამ დებულებით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელება.

ბ) მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 5

1. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) ადგილობრივი ქონების აღრიცხვისა და განკარგვის განყოფილება;

ბ) საწარმოთა საფინანსო ანალიზისა და ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილება;

გ) მოძრავი ქონების აღრიცხვისა და ჩამონერის განყოფილება;

დ) ანალიტიკური განყოფილება;

ე) მონიტორინგისა და კონტროლის განყოფილება;

2. ადგილობრივი ქონების აღრიცხვისა და განკარგვის განყოფილების ფუნქციებია:

ა) ქ. თბილისის თვითმმართველობის ქონების აღრიცხვა-რეგისტრაციის, მართვისა და ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა;

ბ) ქ. თბილისის თვითმმართველობის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემასა და განკარგვასთან დაკავშირებული საკითხების წინმსწრები განხილვა, ორგანიზება და ამ პროცესის იურიდიული გაფორმების უზრუნველყოფა;

გ) სამსახურის მიერ ქ. თბილისის მთავრობაში წარსადგენი ქ. თბილისის თვითმმართველობის ქონების იჯარით ან სხვა ფორმით სარგებლობის წესის განსაზღვრასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის პროექტების მომზადება.

3. საწარმოთა საფინანსო ანალიზისა და ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილების ფუნქციებია:

ა) ქ. თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებული საწარმოების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ანალიზი, სამსახურის მიერ, ქ. თბილისის მთავრობაში წარსადგენად, ანგარიშების მომზადება, ამ საწარმოთა ფინანსური ანგარიშების (ბალანსების, მოგება-ზარალის ანგარიშების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშების) მიღების უზრუნველყოფა;

ბ) საწარმოთა საქმიანობის შედეგად მიღებული მოგებიდან თბილისის ბიუჯეტის კუთვნილი დივიდენდების მოზილზაციის მონიტორინგი. სამსახურის მიერ ქ.თბილისის მთავრობაში დასამტკიცებლად წარსადგენი წინადადებების მომზადება, საწარმოთა წმინდა მოგებისა და სხვა შემოსავლების განაწილების თაობაზე;

გ) საწარმოთა დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის საკითხების განხილვა და კოორდინაცია, მათთან დაკავშირებული სათანადო წინადადებებისა და დოკუმენტაციის პროექტების მომზადება, არაეფექტური და წამგებიანი საწარმოების გამოვლენა და ქ. თბილისის მთავრობაში წარსადგენად წინადადებების შემუშავება;

დ) ქ. თბილისის მთავრობის, როგორც პარტნიორის, საწარმოებში "მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის (პარტნიორთა და/ან აქციონერთა კრებებზე მონაწილეობა) აუცილებელ რწმუნებულ პირთა გამოყოფა, სამსახურის მიერ მათი კანდიდატურის ქ. თბილისის მთავრობაში დასამტკიცებლად წარდგენის მიზნით.

ე) საწარმოების ბალანსზე რიცხული ქონების გირაოთი ან იპოთეკით დატვირთვის თაობაზე საკითხების განხილვა და თბილისის მთავრობაში წარსადგენი გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება;

ვ) საწარმოების წესდებებსა და კაპიტალში ცვლილებების შეტანის თაობაზე წინადადებების მომზადება, მათი ქ. თბილისის მთავრობაში წარდგენის მიზნით.

4. მოძრავი ქონების აღრიცხვისა და ჩამონერის განყოფილების ფუნქციებია:

ა) ქ. თბილისის თვითმმართველობის ქონების თვითმმართველი ერთეულის ორგანოებსა და თვითმმართველი ერთეულის სტრუქტურულ ერთეულებს შორის გადაცემასთან დაკავშირებული პროცედურის ორგანიზება;

ბ) ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მათი სტრუქტურული ერთეულების ან ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული), ასევე დედაქალაქის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამონერასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელებათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება, მათი ქ. თბილისის მთავრობაში დასამტკიცებლად წარდგენის მიზნით.

5. ანალიტიკური განყოფილების ფუნქციებია:

ა) ქ. თბილისის თვითმმართველობის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემასა და განკარგვაზე შემდგარ გარიგებათა ანალიტიკური უზრუნველყოფის განხორციელება;

ბ) თბილისის ტერიტორიაზე შესაბამისი ხელშეკრულებით და გარე რეკლამის განთავსების ნებართვით გათვალისწინებული გარე სარეკლამო საშუალებების განთავსებისათვის ქ. თბილისის ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელი საზღაურის ანალიზის უზრუნველყოფა;

გ) ქ. თბილისის მთავრობის სახელით სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე გასაფორმებელ ხელშეკრულებათა წინასწარი ანალიტიკური უზრუნველყოფა;

6. მონიტორინგისა და კონტროლის განყოფილების ფუნქციებია:

ა) საწარმოთა აუდიტორული შემოწმების ორგანიზების კონტროლი და კოორდინაცია;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული ან/და მის მართვას დაქვემდებარებული საწარმოების საკუთრებაში (კაპიტალში) არსებული ქონების მართლზომიერი ფლობისა და სარგებლობის კონტროლი;

გ) შიდა კონტროლის უზრუნველყოფა;

დ) სამსახურის უფროსის ცალკეულ დავალებათა შესრულების უზრუნველყოფა.

გ) მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"6 მუხლი.

სამსახურის მთელი ქონება წარმოადგენს ქ. თბილისის, როგორც თვითმმართველი ერთეულის, საკუთრებას."

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქ. თბილისის მერის მოვალეობის

შემსრულებელი მამუკა ახვლედიანი

ჩვენნი საქმიანობის პრიორიტეტი ქალის ჯანმრთელობაა ! თავი დაიცავით სარკივე ჯირკვლის და საშვილოსნოს ავთი- საზიანი სიმსივნეებისგან !!!

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში და მობილურ სკრინინგ-ცენტრში სარკივე ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის პროგრამით ყოველდღიურად წარმოებს პაციენტთა მიღება.

სარკივე ჯირკვლის მამოგრაფიული კვლევა ჩაუტარდება 40-დან 70 წლამდე ასაკის ქალბატონებს. გინეკოლოგიური გასინჯვა და პაპ-ტესტი ჩაუტარდება 25-დან 60 წლამდე ასაკის ქალბატონებს.

პროგრამა დაფინანსებულია თბილისის მერიის, „გეროს“ მოსახლეობის ფონდის მიერ და გათვალისწინებულია დედაქალაქის ქალთა მოსახლეობაზე.

პროგრამა მიმდინარეობს პირველი ლედის მხარდაჭერით.

გამოკვლევები ტარდება წინასწარი ჩანერით. აუცილებელია მოქალაქემ თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

პაციენტების მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თ. აბულაძის 20

(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)

ტელ.: 91 31 19; 91 32 42; ტელ./ფაქსი 25 39 38;

**თვითმმართველი ქალაქი რუსთავის
მერია 2009 წლის 30 სექტემბერს ატარებს
აუქციონს**

აუქციონზე გამოტანილი იქნება

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება,

უძრავი ქონების მახასიათებლებია:

